



მეცხეთის უნივერსიტეტი

№ 1 (267) იანვარი, 2020 წელი

გამოცემის 1990 წლის დეკემბრიდან

ქართველოლოგიური ხვლავები საზღვარგარეთ



ნესტან სულავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დასაწყისი №10-11(2019)

XX საუკუნის ინგლისის ქართველოლოგიურ სკოლას ამშვენებენ უილიამ ალენი, დევიდ ლენგი, რობერტ სტივენსონი, სტივენ ჯოუნსი, დონალდ რეიფილდი, ქეთრინ ვივიანი, რობერტ ტომპსონი, ქართველი მეცნიერი თამარ დრაგაძე და სხვები.

ჟერარ გარიტის (1914-1992), ბელგიელ აღმოსავლეთმცოდნეს, ქართველოლოგს, არმენისტს, რომელიც მოღვაწეობდა ლუვენის უნივერსიტეტში 1950 წლიდან, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველოლოგიური პრობლემების კვლევაში. იგი სამეცნიერო მივლინებით ორჯერ იმყოფებოდა სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, სადაც შეადგინა ქართული ხელნაწერების კატალოგი. ჟერარ გარიტის უმნიშვნელოვანესი ქართველოლოგიური ნაშრომი სწორედ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ბაა ფრანგულ ენაზე. მან გამოაქვეყნა აღრინდელი ქრისტიანული მწერლობის ქართული თარგმანები, რომლებიც საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მონასტრებში ინახებოდა. მისი დამსახურებაა იოვანე-ზოსიმეს „კალენდრის“ გამოქვეყნება გამოკვლევასთან ერთად, სვიმეონ მესხეთის ცხოვრებისა და მოციქულთა საქმის ქართული ვერსიების პუბლიკაციები. თავის გამოქვეყნებულ ორიგინალურ ტექსტებს ლათინურ თარგმანს ურთავდა, რითაც ხელს უწყობდა ქართული მწერლობის გაცნობასა და პოპულარიზაციას უცხოეთში. ხშირად აქვეყნებდა რეცენზიებს ქართულ სამეცნიერო გამოცემებზე და წერდა მათ მიმხილველს. ჟერარ გარიტის დამსახურებაა ის, რომ ბელგიაში დღესაც მიმდინარეობს ქართველოლოგიური კვლევები. მის სახელს უკავშირდება წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიების ქართულ თარგმანთა რედაქციების გამოსაცემად მომზადების იდეა, რაც შემდგომში ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან ერთად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა (კვლევა ამჟამად მიმდინარეობს).

გაგრძელება მე-2 გვ.



მ.ვ. სანთაშორისო სეინანი – სალოტონო სწავლების ონგანიზაციისთვის უნივერსიტეტში

„ქართული კულტურის დესპანის“, „ქართული კულტურის ამგადარის“, „ქართული კულტურის რაინდის“ წოდებების მფლობელს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს – ავთანდილ ბერიძეს 70 წელი შეუსრულდა!

ავთანდილ ბერიძე – 70

ვულოცავთ ბატონ ავთანდილს იუბილეს კვლავაც შემოქმედებითი წარმატების სურვილით!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ, გილოცავთ დაბადების დღეს. 70 წელი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თარიღია. თქვენ თამამად შეგიძლიათ იამაყოთ განვლილი გზით. წლების მანძილზე სათავეში უდგახართ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“, ეს გაზეთი კი თავისი შინაარსითა და ღრმად პატრიოტულით ძვირფასი გახდა ქართველი მკითხველისათვის. მიხარია, რომ თქვენ მედგრად უდგახართ მხარში სამცხე-ჯავახეთის, ამ ისტორიული ქართული მხარის კულტურას. შემთხვევით არ ითვლებით ქართული მწერლობის ამგადარ პიროვნებად.

ბატონო ავთანდილ, მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა და მარადიული წარმატებები თქვენი ცხოვრების მომავალ გზაზე.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი



მსოფიერე ამოქაჩული სათქმელი



მ.ვ.12


სტუდენტური თვითმმართველობა სინაღებსა და სამოქალაქო მემკვიდრეობა

მ.ვ.9

„პროსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩები“

მ.ვ.10


16 იანვარს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრული კითხვის ოსტატი გოდერძი დიდიძე ესტუმრა. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეკრებილი საზოგადოების წინაშე ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის, პაოლო იაშვილისა და სხვა პოეტების ლექსები წაკითხა.



„საქართველო, აღრე თუ გვიან, შეამნის ერთიან სამეცნიერო ბაზას, რომლითაც გლობალურ სივრცეში წარდგება“

მ.ვ.4

ჩამოვ პოქშია: ქველგაი, ჰოქველიც აღსაღებნი, ახალგაზრდობაჲ უნდა გააქეთოს



მ.ვ.8



მიშელ ვან ესბროკი და იულიუს ასფალგი

პირველი გვერდიდან

ბელგიაში მოღვაწეობდა ორი-ენტალისტი, ქართველოლოგი და არმენოლოგი მიშელ ვან ესბროკი, რომელიც იკვლევდა ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, ძველ ქართულად შემონახული სხვა ენებიდან თარგმნილ საღვთისმეტყველო ძეგლებს. იყო ბოლანდისტთა საზოგადოების წევრი. მას ეკუთვნის სამეცნიერო შრომები: „პრემენეტიკა, სტრუქტურალიზმი და ეგზეგეზა“ (პარიზი, 1968); „ბასილი კესარიელი“ (პარიზი, 1970); ჟერარ გარითის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა, გაეცნო ქართულ კულტურასა და საქართველოს ისტორიას, რის შემდეგაც შეისწავლა ქართული მრავალთავები და 1975 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „უძველესი ქართული მრავალთავები“, რომელშიც მან განიხილა ქართული მრავალთავების სტრუქტურა, მისი განვითარების ისტორია, კრებულში შეტანილი მასალის რაობა, რის საფუძველზეც გამოყოფილია მრავალთავის უძველესი პლასტი, დათარიღებული V საუკუნით; ეს ფაქტი ქართული მწერლობის, ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიისათვის უაღრესად კონცეპტუალურია, რადგან ნათლად ჩანს, რომ ლიტერატურული საქმიანობა საქართველოში V საუკუნეში მალაღ დონეზე დგას და ქართული მწერლობის წარმოშობის დათარიღებასთან დაკავშირებით გამოთქმულ სიახლეებს შეიცავს. ესბროკმა განსაზღვრა მათი მნიშვნელობა ქართული, ბიზანტიური და, საზოგადოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტურგიკისა და პომილტიკის ისტორიის კვლევებისათვის. მის შეხედულებებს ქართული ლექციონარების, აპოკრიფული ლიტერატურის, ჰაგიოგრაფიის შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მის მიერ გამოთქმული შეხედულებები სიახლეა ქართული ფილოლოგიური კვლევების ისტორიაში. ესბროკი თავის გამოკვლევებთან ერთად აქვეყნებდა ტექსტების თარგმანებს ფრანგულ ან ლათინურ ენებზე, რამაც მისი შრომების საერთაშორისო ლირებულება გაზარდა. აშშ-ში ქართველოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ბლეიკმა (1886-1950 წწ.), რომელმაც მეცნიერულად აღწერა პალესტინასა (ჯვრის მონასტერში) და ათონზე (ივერთა მონასტერში) დაცული ქართული ხელნაწერები; ამ აღწერილობათა მეცნიერული ლირებულება დღესაც დიდია. ენათმეცნიერმა ჰოვარდ არონსონმა ჩიკაგოს უნივერსიტეტში დააარსა ქართული ენის კათედრა და შექმნა ქართული ენის სასწავლო კურსი, რის შედეგადაც 1982 წელს გამოცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უცხოელ სტუდენტთათვის. ნიგ-

ნი უცხოეთში ძალზედ პოპულარულია და პრაქტიკულად აქტიურად გამოიყენება. ქართველოლოგიური პრობლემისათვის მკვლევართაგან უნდა დავასახელოთ ნორვეგიელი ჰანს ფოგტი, პოლონელი იან ბრაუნი, ჩეხი იარომირ იედლიჩკა, უნგრელი ლაიოშ ტარდი და სხვ. ცალკე სასაუბრო თემაა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგთა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იძულებით თუნებთ წასულ ქართველ მეცნიერთა წვლილი ქართველოლოგიის თანამედროვე დონის შექმნაში. XIX საუკუნეში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველოლოგი-

რაციონი არჩეულ იქნა რუსეთის აკადემიის საპატიო წევრად. აგრეთვე, იყო პარიზისა და კოპენჰაგენის სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი. მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა პეტერბურგის ქართველოლოგიურ სკოლას, განსაზღვრა მისი მომავალი სამეცნიერო საქმიანობა, რაც მთელი XIX საუკუნის (ა. ცაგარელი) და XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე (ნ. მარი) ინტენსიურად მიმდინარეობდა. თეიმურაზის შრომებიდან უთუოდ უნდა დასახელებდეს ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი ნაშრომი „ისტორია დანაყებითან ივერიისა, ესე იგი, გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა“ (1848 წ.), აგრეთვე „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ (1960 წ.). თეიმურაზ ბატონიშვილის მემკვიდრეობის შესახებ ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები გამოაქვეყნა გურამ მარაძემ, რომელმაც ყოველმხრივ განიხილა და შეაფასა სწავლული ბატონიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება და იქვე მოღვაწეობდა დავით ჩუბინაშვილი (1814-1891), რომელიც აქტიურად შეუდგა ქართულ ხელნაწერთა შეკრებას, დამუშავებას, აღწერას, რათა შემდგომი ქართვე-

ისტორიკოსი, ფილოლოგი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929) სწავლობდა პეტერბურგის სამეცნიერო ქორეოგრაფიულ აკადემიაში, საიდანაც მალე გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ სწავლა გააგრძელა მიუნხენის, ტიუბინგენის, ლაიპციგისა და ვენის უნივერსიტეტებში; თავისი მოღვაწეობის დასაწყისში მან გამოაქვეყნა შრომები ქართული და ქართველური ენების შესახებ, კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა, „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის გარემო“. გამოსცა „მეგრული ეტი-

1912) მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო და იმ ურთულეს პირობებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მან აღწერა საზღვარგარეთის ცენტრებში დაცული ქართული სიძველეები, ხელნაწერები, შეისწავლა ათონის ივერიის სიძველეები, მანამდე უცნობი მრავალი თხზულება გამოავლინა და გამოცა უმეტესად რუსულ თარგმანთან ერთად. მისი კვლევის საგანი იყო აპოკრიფების ქართული რედაქციები, „სიბრძნე ქართლისა“, „მოქცევა ქართლისა“, „ქართლის ცხოვრება“, რუსთველოლოგიური პრობლემები, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი და ძველი ქართული მწერლობის სხვა თხზულებები, საისტორიო თხზულებები, დავით აღმაშენებლის ანდერძი მოიკვლია ლავრისადმი, „ვაჰანის ქებათა განგებას“. 1895-1907 წლებში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონუმენტური ნაშრომი „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ ოთხ ტომად, რომლის ქართული ვარიანტი ორ ტომად 1904-1913 წლებში გამოცა სახელწოდებით „ქართული სიტყვიერების ისტორია“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სახელმძღვანელოდ იყენებდნენ უნივერსიტეტებში. იგი იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატური კურსი. სანკტ-პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ სისტემური კვლევები აკადემიკოს ნიკო მარის (1865-1934) მოღვაწეობის დროს მიიღო. მარი მრავალმხრივი მეცნიერი იყო, რომელმაც ქართველოლოგიური ყველა სფეროს მიმართული შუქმანა ფუძემდებლური შრომები, რომელთაც ვერც ერთ დროში ვერც ერთი ქართველოლოგი გვერდს ვერ აუვლის. როგორც ფართო მასშტაბური აზროვნების მკვლევარმა, აღმოსავლეთმცოდნეობის სფეროში ღრმა კვალი გაავლო. ნიკო მარის წვლილი ენათმეცნიერებაში, ფილოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებებში, არქეოლოგიის განვითარებაში განუზომლად დიდია; მან დააარსა რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება, გამოცემათა სერიები, ჟურნალები, რომელთაგან განსაკუთრებული ღირებულებისაა სამეცნიერო შრომების სერია „სომხურ-ქართული ფილოლოგიის ტექსტები და ძიებანი“, „ქრისტიანული აღმოსავლეთი“, „კავკასიური ფილოლოგიის ტექსტები და ძიებანი“. იგი აქვეყნებდა ძველ ქართულ ტექსტებს, რის ნიმუშადაც შეიძლება დასახელებდეს 1902 წელს გამოცემული „ძველი ქართველი მეხოტბენი“, გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულების პირველი გამოცემა 1911 წელს. როდესაც იერუსალიმში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს აღმოაჩინა გიორგი მერჩულის თხზულება, მან საგანგებოდ იმოგზაურა იმ ადგილებში, სადაც „წმ. გრიგოლ ხანტელის ცხოვრების“ პერსონაჟები მოღვაწეობდნენ და შესანიშნავი დღიურები შექმნა, რომელთაც



დევიდ ლენგი

ქართველოლოგიური აკადემიის საზღვარგარეთ

ნესტან სულავა ფილოლოგიის მისიონერობა დოქტორი, პროფესორი



მარი ბროსე

ლოლოგიური კვლევებისათვის მოეზადებინა ნიადაგი. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი საგამომცემლო საქმიანობა, მისი წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საქმეში, პოემის მეორე, 1841 წლის გამოცემაში მისი მონაწილეობა, რის შემდეგაც მან კიდევ ორჯერ გამოსცა იგი: 1846 წელს თავის შედგენილ „ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ და 1860 წელს ცალკე ნიგნად. „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ გამოცემას ახლავს კომენტარები, რომლებშიც ტექსტოლოგიურ და ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებთან ერთად განხილულია შოთა რუსთველის სხვა თხზულებათა ავტორობის საკითხი; იგი რუსთველს მიანერდა სამ თხზულებას, ორ იამბიკოს „ცასა ცათასა...“ „ქალწულბერივთა“ და ლექსს „ფილოსოფოსის შემოკრბენ“. შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ ორივე იამბიკო თამარ მეფის ეკუთვნის, ხოლო ლექსი „ფილოსოფოსის შემოკრბენ“, შ. ონიანის აზრით, რუსთველს უნდა დაენერა. იგი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენი კომისიის მუშაობაში, კომისიისა, რომელიც მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვანო მარაბული, იონა მეუნარგია, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი და სხვ. დავით ჩუბინაშვილმა გამოცა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომი 1854 წელს, შეადგინა ქართული გრამატიკა ქართულ და რუსულ ენებზე, ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა იმ დეპუტაციისა, რომელიც ზრუნავდა ქართველებისათვის ათონის მონასტრის დაბრუნებაზე. ჩუბინაშვილი აგროვებდა და აბინავებდა ქართულ ხელნაწერებსა და ნიგნებს, რომელთა აღწერილობა ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა.

ბი, რომელთაგან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სანკტ-პეტერბურგის ქართველოლოგიური სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები, კერძოდ, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846). დეიდი ადრე დაობლებული უფლისწული ერეკლე მეორის სასახლეში იზრდებოდა და, შესაბამისად, განათლებაც ჩინებული მიიღო. მას ასწავლიდნენ დავით ალექსიმესხიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, პეტრე ლარაძე, უფროსი ძმები დავით და იოანე ბაგრატიონები. რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და დაპყრობის შემდეგ იგი ოჯახთან, სხვა ბატონიშვილებთან ერთად გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც განათლება კიდევ უფრო გაიღრმავა. იყო მრავალმხრივი მეცნიერი, ღრმად განსწავლული მკვლევარი, ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი, ისტორიკოსი, ბიბლიოგრაფი, ფოლკლორისტი, ნუმისმატი, ამასთან იყო პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, მეშუარისტი, მუშაობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ფიზიკაში, გეომეტრიაში, ბოტანიკაში და სხვ. თეიმურაზ ბაგ-



თეიმურაზ ბატონიშვილი

სამეცნიერო ღირებულება აქვთ. მანვე ამ მოგზაურობის დროს გადაიღო ფოტოები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ეს ფოტოები, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადაღებული ფოტოებთან ერთად, ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლებსა და ეკლესია-მონასტრების XX საუკუნის დამდეგის მდგომარეობას ასახავს, ტაო-კლარჯეთისა, რომელსაც მარმა „ქართული სინა“ უწოდა. ისინი ფასდაუდებელ საუნჯეს წარმოადგენენ ქართული ეკლესიის ეპარქიების ისტორიის საკვლევად.

ნიკო მარი საერთაშორისო დონის მკვლევარი-მეცნიერი იყო, რომელმაც ფილოლოგიისა და ისტორიის კვლევის დონე დასავლურ კვლევათა დონეზე აიყვანა და დააყენა. ზედმიწევნით იცოდა რამდენიმე ათეული ენა, რაც საშუალებას აძლევდა ყოველმხრივი სკრუპულოზური ანალიზი ჩატარებინა ენათმეცნიერებაში. ნიკო მარმა შეისწავლა და აღწერა ძველი ქართული ხელნაწერები, კერძოდ, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ათონის ქართველთა მონასტრის – ივირონის ხელნაწერები. მან მრავალ სამეცნიერო შრომაში იკვლია ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების საკითხები, „ბალავარიანის“, „თამარიანის“, „ამირანდარეჯანიანის“ და განსაკუთრებით შოთა რუსთველის პოემის ტექსტოლოგიურ-ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები. მან გამოავლინა ქართული მწერლობის ეროვნული საფუძვლები და მსოფლიოს გააცნო მისი ღირსებები. თუმცა, ზოგჯერ მცდარ შეხედულებებსაც გამოთქვამდა ქართველოლოგიური პრობლემატიკის შესახებ, მაგრამ მუშაობის პროცესში ცვლიდა მას. ასეთი იყო „ვეფხისტყაოსანთან“, „ბალავარიანთან“, ქართულ ანბანთან, ქართული ენის ისტორიულ ფენომენთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულებანი. ნიკო მარის სახელთანაა დაკავშირებული ენათმეცნიერებაში იაფეტური თეორიის შექმნა, რომელმაც სამეცნიერო ლიტერატურაში წინააღმდეგობრივი შეხედულებები წარმოშვა. ნიკო მარს მეცნიერისათვის იმეოთი თვისება ახასიათებდა, მას შეეძლო წამოეყენებინა თვალსაზრისი, რომლის უარყოფა შეეძლო მომდევნო სამეცნიერო ნაშრომში, თუ საკითხის კვლევის პროცესისას სხვა დასკვნამდე მივიდოდა და პრობლემის სწორად გადაჭრა ამას მოითხოვდა. ნიკო მარი, როგორც ორიენტალისტი მეცნიერი, ისტორიით დაინტერესებული იყო და არქეოლოგიურ გათხრებსაც თავად აწარმოებდა.

კერძოდ, იგი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ანისში. მისი ღირსება იყო ისიც, რომ მან იზრუნა მომავალზე და აღზარდა ღირსეული მონაფეხები, რომლებმაც ღრმა კვალი გააყენეს ქართველოლოგიური მეცნიერების ყოველი სფეროს განვითარებაში: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, კარპეზ და ვარლამ დონდუბი, რუსუდან ორბელი, საურმაგ კაკაბაძე, იოსებ მეგრელიძე...

მიხეილ თამარაშვილი (1858-1911) ქართველ ისტორიკოსთა იმ წრეს ეკუთვნის, რომელთაც საქართველოს ისტორიის საკვლევად და ქართული კულტურის სამსახურისათვის საზღვარგარეთ მოღვაწეობა მოუხდა. მას სურდა, უკეთ გაეცნო საქართველო და ქართული ფენომენი უცხოეთის ქვეყნებისათვის. ახალციხეში დაბადებული-გაზრდილია განათლება კონსტანტინოპოლის კათოლიკურ ქართულ სასწავლებელში მიიღო პეტრე

ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ სწავლობდა ესპანეთში, ბოლოს პარიზის წმ. ლაზარეს სახელობის სასწავლებელში. პარიზში იგი გაეცნო სამეცნიერო წრეებსა და სამეცნიერო მოღვაწეობაც აქვე დაიწყო, სადაც მუშაობდა მუზეუმებში, წიგნთსაცავებში, ბიბლიოთეკებში. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას სამშობლოში ფიქრობდა, მაგრამ, როგორც ცარიზმისათვის მიუღებელი იდეებით განსწავლული პროვინცია, იძულებული გახადეს დაეტოვებინა საქართველო და აქ ცხოვრება აუკრძალეს. მან 1890 წელს იტალიას მიაშურა და რომში სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა-განათლების სრულყოფა. გახდა ლეთისმეტყველების დოქტორი და შეუდგა სამეცნიერო მუშაობას. მისი



მიხეილ (მიხაკო) ნერეთელი

კვლევების ძირითადი სფერო იყო საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიები. მან სპეციალურად შეისწავლა და გამოიკვლია კათოლიკობის ისტორია საქართველოში, სადაც XVI საუკუნიდან უკვე კათოლიკე მისიონერები ხშირად ჩამოდიოდნენ და ცდილობდნენ თავიანთი რელიგიის დამკვიდრებას. მათ ეს მისია ბოლომდე ვერ შეასრულეს, თუმცა, ისიც საკმარისია გავიხსენოთ, რომ მათ შეძლეს ფეხის მოკიდება სამხრეთ საქართველოში და რამდენიმე თემის გაკათოლიკება. თვით მ. თამარაშვილი კათოლიკე იყო. მთელ ამ მასალას მან თავი მოუყარა მონოგრაფიაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელიც ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი და გამოქვეყნდა მისი სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1910 წელს რომში. წიგნს ვატიკანის პრემია მიენიჭა, რაც მონაწილეს ავტორისა და წიგნის აღიარებას, მნიშვნელობას. ამჟამად იგი თარგმნილი და გამოცემულია ქართულ ენაზეც. სიტყვითაა ყოფნისას მან აღმოაჩინა კრისტეფორო დე კასტელის უნიკალური ალბომი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ისტორიას, ეთნოგრაფიას, კულტურას, ქართველ მოღვაწეთა შესახებ ცნობებს გადმოგვცემს და ყოველივე ეს არის კასტელისავე ნახატებით დამზადებული. მიხეილ თამარაშვილმა მასალები მოიძია სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ. მისმა ტრაგიკულმა აღსასრულმა, – იგი დასახმარებლად გადაეშვა ზღვაში, განწირული ადამიანი გადაარჩინა, მაგრამ თავად დაიხრჩო, – ნაადრევად შეწყვეტა მისი მეცნიერული მოღვაწეობა. მ. თამარაშვილი დასაფლავებული იყო იტალიაში ჩივიტა ვეკიაში, 1978 წელს რევაზ თა-

ბუკაშვილის ძალისხმევით მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი (1897-1958) ქართველ მეცნიერთა იმ წრეს მიეკუთვნება, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ და ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ. იგი იყო ახალციხეში დაბადებული და აღზრდილი. განათლება კონსტანტინოპოლის ქართულ კათოლიკურ სასულიერო სასწავლებელში მიიღო, 1917 წლიდან სწავლობდა გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში ფილოლოგიურ და ისტორიულ დარგებს. ბრწყინვალედ იცოდა გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძნული, სირიული და რუსული ენები. 1931 წელს მღვდლად ეკურთხა. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში, ბელგიაში და გერმანიაში. 1943 წლიდან რომში დამკვიდრდა. მუშაობდა რომის წიგნთსაცავებში და ცულ ქართულ მასალაზე. გამოსცა „ძველი ქართული ჟამის წიგნები“ 1950 წელს, „ქართველთა პეტრინო-ნიკის მონასტრის ტიპიკონი“ 1954 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, 1959 წელს, გამოვიდა



მიხეილ თამარაშვილი

მის მიერ მომზადებული „იერუსალიმის ეკლესიის დიდი ლექციონარი“. მ. თარხნიშვილის ინტერესების სფერო ძველი ქართული ლიტერატურა და საქართველოს ეკლესიის პრობლემები იყო. 1955 წელს იულიუს ასფალგთან ერთად გერმანულ ენაზე გამოსცა გადამუშავებული კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მისი თვალსაზრისი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ „ბალავარიანის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესახებ. გერმანულ და ქართულ ენებზე დაწერილი ორ სამეცნიერო ნარკვევში გააკრიტიკა დოქტორის თვალსაზრისი და მეცნიერულად დაასაბუთა პ. პეტერსის დებულების მართებულობა „ბალავარიანის“ თაობაზე. მანვე გამოაქვეყნა ეგვიპტეში, თებეს ნეკროპოლში ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერის ტექსტი. იგი ძველ ქართულ ტექსტებს თარგმნიდა ლათინურ ენაზე, ურთავდა მათ კომენტარებს, გამოკვლევებს და აქვეყნებდა, რითაც საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა ამ თხზულებებს. მ. თარხნიშვილმა ევროპაში ქართველოლოგთა მთელი თაობა აღზარდა, რითაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველოლოგიის განვითარებაში.

მიხაკო ნერეთელი (1878-1965) საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგი იყო, რომლის კვლევის საგანი ძველი სამყაროს ისტორია, ლიტერატურა, ენები, ხელოვნება იყო. იგი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ასპირანტურას დაუფლდა და გამოაქვეყნა შრომები ურარტუს ისტორიასა და ენაზე, ქართველი ერისა და ქართული ენის წარმოშობის პრობლემებზე, მონოგრა-

ფია „შუმერული და ქართული“. გერმანულად თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ცხოვრებები. 1961 წელს პარიზში გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ თავისი რედაქტირებული და დადგენილი ტექსტი, 1975 წელს კი ბერლინში გამოსცა პოემის გერმანული თარგმანი. თავის სამეცნიერო შრომებს აქვეყნებდა ქართულ, გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, პროფესორი გრიგოლ ფერაძე (1899-1943 წწ.) 1921 წელს კორნელი კეკელიძის შუამდგომლობითა და არტურ ლისის რეკომენდაციით საქართველოს საპატრიარქოს საბჭომ თეოლოგიური განათლების მისაღებად გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტში გაგზავნა, სადაც ცნობილი ქართველოლოგი რ. მეკელიანი ასწავლიდა. 1925 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა ბონის უნივერსიტეტში და დაიცვა სადოქტორის ნაშრომი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად: „მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“, რომელიც ძალზე ფასეულია ქართული ბერძნულ-სლავონის ისტორიის შესახებ. ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში იკვლევდა ქართულ ხელნაწერებს. გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული, ებრაული და სხვა აღმოსავლური ენების საფუძვლიანმა ცოდნამ გზა გაუხსნა ორმა მეცნიერული კვლევების წარსამართად. 1932 წელს მიიწვიეს ოქსფორდის უნივერსიტეტში,



ნიკო მარი

სადაც სათავეში ჩაუდგა მართლმადიდებლური თეოლოგიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართული ეკლესიის ისტორიაში, ბიბლიის ძველ თარგმანებსა და ქართულ სასულიერო მწერლობაში. მეცნიერული მიზნით იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში, კერძოდ ათონზე, პალესტინაში, უძველესი ქართული ხელნაწერების გამოსავლინებლად და შესასწავლად. 1933 წელს გრ. ფერაძე მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა პოლონეთში. 1942 წელს გესტაპომ დააპატიმრა და ტრაგიკულად აღესრულა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

ცნობილი ქართველოლოგები და ამ დარგის ხელმძღვანელები იყვნენ კალისტრატე (კალე) და ნინო სალიები, კიტა ჩხენკელი, უდიდესი რუსთაველოლოგი ვიკტორ ნოზაძე, თამარ და აკაკი პაპაევი და სხვანი. სალიების ოჯახს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან და მეცნიერებთან, სამეცნიერო წრეებთან, განსაკუთრებით ხელნაწერთა ინსტიტუტთან (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), რომელსაც სალიებმა საკუთარი ბიბლიოთეკის 1000 ეგზემპლარი (ქართველოლოგიური, ორიენტალისტური ლიტე-



ვიკტორ ნოზაძე

რატურა) გადასცეს საჩუქრად. იგი იკვლევდა საქართველოს ისტორიასა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. მისი შრომებია: „ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა“; „ქართული ლიტერატურა“; „საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობის მოკლე მიმოხილვა“. ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს „ქართველი ერის ისტორია“. თანაავტორებთან, ნინო სალიასა და ვახტანგ ბერიძესთან ერთად, მიმოხილვითი ხასიათის წიგნი „საქართველო“.

ქართველოლოგიური კვლევები ამჟამადც მიმდინარეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში: იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ნორვეგიაში, ბელგიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთში, აშშ-ში, თურქეთში, ისრაელში, იაპონიაში და სხვ. ამ ქვეყნებში არსებულ ქართველოლოგიურ ცენტრებში სწავლობენ და მეცნიერულად იკვლევენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, საზოგადოდ ქართულ კულტურას და იზრდებიან უცხოელ ქართველოლოგთა თაობები. შეერთებული შტატებისა და კანადის ბევრ უნივერსიტეტში (ჰარვარდის, მონრეალის, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, ოქსფორდის, ინდიანას, კვებეკის, ნეშვილისა და სხვ.) მოღვაწეობენ ცნობილი ქართველოლოგები: ჰოვარდ არონსონი, ალის ჰარისი, ბერტ ბენინი, დიანა ჰოლენსკი, ჟენინ თუთი, კიმ ბრეით-ვეიტი, ადამ სმითი და სხვები. იტალიაში მოღვაწეობს ქართველი ფილოლოგი, საღვთისმეტყველო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი, მთარგმნელი გაგა შურღია. ქართული კულტურის, ქართული სიტყვის პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს იტალიაში მცხოვრებ ქართველ ლიტერატორს, მთარგმნელს ნუნუ გელაძეს. ცნობილი ქართველოლოგი გახლავთ პოლონეთში მოღვაწე ქართველოლოგი დავით ყოლბაია. საფრანგეთში არსებობს ქართველოლოგთა რამდენიმე ცენტრი-გაერთიანება: პარიზის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ინსტიტუტში, სორბონის უნივერსიტეტში, პარიზის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. ქართველოლოგიურ კვლევებში წვლილი მიუძღვით რენე ლაფონს, ჟორჟ დიუმეზილს, ბერნარ უტიეს, ფრანსუა მარტელა-მონს, მარლ მერსიესა და სხვებს. გერმანიაში დღესაც აქტიურად მოღვაწეობენ და საყურადღებო ქართველოლოგიური ხასიათის ნაშრომებს ქმნიან კარლ ჰორსტ შმიდტი, ჰაინც ფენრიხი, იოსტ გიპერტი, ვინფრიდ ბოედერი, მტეფი იუნგერ-ხოტივარი და სხვ. ახალი თაობის მკვლევარები არიან კარინა ვამლინგი, კორნელია პორნი, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნარ კულო და სხვ. ბოლო პერიოდში საქართველოს ისტორიის საკითხებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ თურქეთის სამეცნიერო წრეები.

საუბროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სანაზვლო მიხარტუაშვილი, პროფესორი ნიკოლოზ ახალკაცი

მინდა ვისაუბრო საქართველოში მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობაზე – რა პრობლემები და პერსპექტივები გვაქვს. პატარა შესავალს გვაკეთებ. მეცნიერება, ზოგადად, არის თანამედროვე სოციუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო. სოციუმის ყველა დანარჩენი სფერო, თითქმის, პირდაპირ მეცნიერებაზეა მიბმული. ვერ დავასახელებთ დღეს ვერცერთ სფეროში წინსვლას, თუ ეს სფერო, გარკვეულწილად, მეცნიერების მიღწევებზე არ არის ორიენტირებული. ამიტომ, გასაგები უნდა იყოს, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს მეცნიერება, როგორი დონით არის განვითარებული ამა თუ იმ ქვეყანაში და, ზოგადად, გლობალურ სივრცეში. სწორედ, ამ თემაზე მინდა ვისაუბრო. გარკვეული დონით გავიზარე ეს საკითხი, რამდენადაც მაქვს პრაქტიკული გამოცდილება ამ მიმართულებით.

სამეცნიერო საქმიანობა, მარტივად რომ დავახასიათოთ, ორი ფაზისაგან შედგება. მეცნიერული კვლევა არის პირველი ეტაპი, მეორე ეტაპი უკვე ამ კვლევის შედეგების მიტანაა მომხმარებელამდე, ანუ – როგორი სახით ვახერხებთ ჩვენ ამას, იგულისხმება გამოქვეყნება. ყველა ქვეყანაში მეცნიერების დონე განისაზღვრება სწორედ ამ ორი ეტაპის მდგომარეობით – როგორ არის ხელშეწყობილი კვლევები, შემდგომ როგორ არის მიტანილი მომხმარებელამდე კვლევის შედეგები, ანუ როგორ არის გამოქვეყნებული, რამდენად არის ხელმისაწვდომი კვლევის შედეგების მოძიება და გაცნობა. მეცნიერების განვითარების დონე სწორედ ამ ორი ეტაპით განისაზღვრება.

როგორია, დღესდღეობით, საქართველოში მეცნიერების განვითარების დონე გლობალურ სივრცეში არსებულთან შედარებით? ტრადიციულად, სამეცნიერო კვლევების ძალიან დიდი პოტენციალია საქართველოში. თუ ჩვენ გაავითვალისწინებთ, თუნდაც, საბჭოურ პერიოდს – უამრავი კვლევითი ინსტიტუტი არსებობდა, სადაც ჩვენი მეცნიერები აწარმოებდნენ კვლევებს. ეს ხდებოდა ძალიან მაღალ დონეზე. რა თქმა უნდა, დაფინანსება იმ დონეზე აღარ არის და, შესაბამისად, პოტენციალმაც მოიკლო. ამას შეუწყო ხელი დაბალმა სოციალურმა ფონებმა – დაბალია მეცნიერების შრომის ანაზღაურება. სხვადასხვა დარგის ძალიან ბევრი ცნობილი მეცნიერის გადინება მოხდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგებში. თუ ჩვენ ვვიღებთ მთლიანად ჩვენი ქვეყნის პოტენციალს მეცნიერული კვლევების კუთხით და გავითვალისწინებთ ამაში იმ მეცნიერებს, ვინც უცხოეთში არიან, წარმოიდგინეთ, რა უზარმაზარ პოტენციალს ფლობს საქართველო.

კვლევითი ინსტიტუტების უმეტესი ნაწილი დღეს უკვე უმაღლესი სასწავლებლების დაქვემდებარებაშია, გარდა რამდენიმე ინსტიტუტისა. აქ კვლევითი პროცესი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, მიდის ძველი დინების, ძველი კვლევების იმპულსებით. მე წამდგელი ვერ ვიტყვი, რომ დღეს არის გარკვეული სახელმწიფო დაკვეთები ან შეიძლება კერძო დაკვეთები და ამ დაკვეთებით დულს კვლევითი პროცესები. ყველაფერი საბოლოოდ დადის, მაინც, დაფინანსების სისტემაზე და შესაბამისად უნდა ითქვას, რომ კვლევითი პროცესი დღეს შენელებულია.

აქ შეიძლება ცალკე გამოვყოთ უმაღლესი სასწავლებლებში ის მოთხოვნა, რაც ნაყენებული აქვთ პროფესორებს კვლევის სფეროში. პროფესორები ინდივიდუალურ რეჟიმში თვითონ აწარმოებენ კვლევებს, პირადად აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. უნივერსიტეტების ხელშეწყობა ძალიან ცოტაა. სააკრედიტაციო მოთხოვნაც არის, რომ უნივერსიტეტებში ხელშეწყობილი იყოს პროფესორ-მასწავლებლების კვლევითი საქმიანობა (კვლევის პროცესი და შემდგომ, მეორე ეტაპისთვის, გამოქვეყნების პროცესიც). მაგრამ ეს არის, შეიძლება ითქვას, წვეთი ზღვაში. სამეცნიერო კვლევებს ასეთი მოკრძალებული დამოკიდებულებით ვერ განახორციელებ. დაკვეთაც, ფაქტობრივად, აღარ არის. ამის მიზეზი ერთია – განვითარებულ ქვეყნებში ყველა მიმართულებით საკმაოდ მაღალია მიღწევები მეცნიერებაში. მეცნიერები გარკვეულ დაკვეთებზე მუშაობენ. მეცნიერული ჩართულობა არიან ერთობლივ კვლევით პროექტებში. როდესაც დღია დაფინანსება, კვლევებიც მა-

ლალი დონის არის და როდესაც ასეთი კვლევები უკვე ჩატარებულია და წინ არის წასული, ჩვენი კვლევები იმის ფონზე აღარაფერია, ძალაუხერხად, გვინდა თუ არა, ჩვენი კვლევების შედეგები უკანა პლანზე გადადის.

რომელი კვლევებია ხელშეწყობილი საქართველოში? ეს არის მხოლოდ სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული კვლევები. სამეცნიერო გრანტებს საქართველოში ერთადერთი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი იძლევა. სხვა ფონდი, რომელიც ხელშეწყობდა შეიძლება ჩაითვალოს, ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს. დაინტერესებაც არის მეცნიერების მხრიდან, რომ კარგი პროდუქტი დაიდოს, მაგრამ რუსთაველის ფონდიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის და საუკეთესო პროექტები ვერ ფინანსდება კონკურსის გამო.

„საქართველო, აღრე თუ გვიან, შექმნის ერთიან სამეცნიერო ბაზას, რომლითაც გლობალურ სივრცეში წარდგება“

რაც შეეხება უცხოეთის სამეცნიერო პროექტებს, მე დავინტერესდი და მოვიძიე რამდენიმე ქვეყნის სამეცნიერო პროექტები, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაა დადებული. მარტო გერმანიაში 600-მდე ასეთი პროექტი იყო ჩამონათვალში. ვნახე რამდენიმე მათგანი. ყველა არის დაინტერესებული, რომ არა მარტო გერმანიის ფარგლებში იკვლიონ, არამედ კვლევა იყოს გლობალური, მასში ჩართული იყოს უცხო ქვეყნებიც. ასეთ ფონდებში თუ ვინმეს ხელი მიუწვდება, საკუთარი ინიციატივით შეუძლია ჩაერთოს სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ესეც არის მეორე გზა მეცნიერების დაფინანსებისა. მაგრამ ეს არის, შეიძლება ასე ითქვას, სპონტანური დაფინანსება და ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. უმეტეს შემთხვევაში, დღეს საქართველოში კვლევების წარმოება უწევთ პირადი ინიციატივით და როგორც აღვნიშნე, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. საქართველო ვერ გაეჯიბრება ევროპის, ამერიკისა და სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას და მათ დაფინანსების სისტემას ვერ დაუდგება დევრდით. ამიტომ გასაგებია, როგორი დონეც გვაქვს ამ სფეროში.

ეს – რაც შეეხება პროფესორ ნანილს, თუ როგორ მდგომარეობაშია მეცნიერული კვლევები საქართველოში. ახლა ვნახოთ, როგორ მდგომარეობაშია მეორე ეტაპი, ის, რაც ნაკვლევია, სად ქვეყნდება, როგორ ქვეყნდება. დღეს ძალიან ხშირად გავიგონებთ ასეთ მოთხოვნებს, რომ სამეცნიერო ნაშრომები უნდა გამოქვეყნდეს სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის მქონე ბაზებში, იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში (ქართულად – გავლენის ფაქტორის მქონე). ეს ჟურნალები აღნიშნული სამეცნიერო ბაზების გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერც ციტირებას მოიპოვებენ, ვერც იმპაქტ ფაქტორს და ვერც სხვა სარეიტინგო განზომილებას.

სამეცნიერო ბაზები დღეს უამრავია. არის ძალიან დიდი, თითქმის მთელი მსოფლიოს მიმცველი ბაზები, მაგალითად, WoS, Elsevier. ზოგიერთი ბაზა სულ ტექნოლოგიურ, საბუნებისმეტყველო დარგებზეა ორიენტირებული, ზოგიერთი – სამედიცინო მიმართულებით, ზოგი სოციალურ და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე და აერთიანებენ ამ სფეროებში გამოქვეყნებულ ჟურნალებს, მოზოგადად ეს ბაზები, დღესდღეობით, მეცნიერების მეორე ეტაპისთვის ანუ სტატიების გამოქვეყნებისთვის არის უნიკალური შემთხვევა. ამ ბაზების საშუალებით ადვილად მოიკვლევ მსოფლიოს მასშტაბით, ვთქვათ, სოციოლოგიის მიმართულებით რა კვლევები მიმდინარეობს, ასევე, ჰუმანიტარიის მიმართულებით და ა. შ. თუმცა, აქ არის ერთი „მაგრაბი“. ამ ბაზებში უმეტესი ინდექსირებული და ამ ბაზებში განკუთვნილი გამოცემლობის პროდუქტი არის ფასიანი. იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი ანაზღაურე-

ბა აქვთ პროფესორებს, არის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იმიტომ, რომ მისთვის დაბალი ფასია, ვთქვათ, 50 დოლარი. დიდი ფასი არ არის ევროპელი მეცნიერისთვის, მაგრამ ქართველი პროფესორისთვის, რომლის საშუალო ხელფასი 800-დან 1000 ლარამდეა, 50 დოლარი მხოლოდ ერთი სტატიის გაცნობისთვის, გასაგებია, რომ ხელმისაწვდომი არ არის. ასეთ ბაზებში გამოქვეყნება უფრო დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მინიმალური თანხა 500 დოლარი ან 500 ევროა. არის ღია წვდომის ჟურნალებიც, სადაც უფასოდ ხდება გამოქვეყნება, მაგრამ ძალიან ცოტაა ასეთი ჟურნალი. მაგალითები ტინგული ჟურნალები, კრებულები და კონფერენციები, უმეტესად, საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. ჩვენი საგამომცემლო საქმიანობა ძალიან ჩამორჩა მსოფლიოს მასშტაბით არსებულ საგამომცემლო საქმიანობას. რა თვალსაზრისით? მე არ ვამბობ, რომ ნაკლები კვლევები გვაქვს, ნაკლებად მოაზროვნე მეცნიერები გვყავს. აქ ლაპარაკია

„საქართველო, აღრე თუ გვიან, შექმნის ერთიან სამეცნიერო ბაზას, რომლითაც გლობალურ სივრცეში წარდგება“



იმაზე, რომ ერთი და იგივე ნაშრომს აქვეყნებ ჟურნალში, რომელსაც ორი-სამი კაცის მეთვრამეტე კითხულობს. ამავე ნაშრომს თუ გამოაქვეყნებ მაღალი რეიტინგის ჟურნალში, მის შესახებ მთელი მსოფლიო გაიგებს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შენს სამეცნიერო პროდუქტს როგორ მიანოდებ მსოფლიოს.

მე წამოვიდგენი პატარა ისტორიას, როგორი გამოსავალი იპოვეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ჩინეთში. მოგესხებოდათ, ჩინეთს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ უზრუნველყოფა ძალიან მჭიდროდ დასახლებული რეგიონია და ყველა სასწავლებელი და ყველა პროფესორი არც იქ არის უზრუნველყოფილი კვლევით საქმიანობაში დაფინანსებით. სახელმწიფომ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა, – 1995 წელს შექმნა ჩინეთის სამეცნიერო ციტირების ინდექსი, ანუ ეროვნული ციტირების ინდექსი. ამით რა გავაკეთა? ამით შეიმუშავეს ერთიანი ნებსები, ერთიანი მოთხოვნები და შექმნეს უზარმაზარი ეროვნული ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ყოველგვარი კომერციული მიზნების გარეშე, ხელმისაწვდომი იქნებოდა ჩინეთის მეცნიერებისა და მკვლევარებისთვის. ეს ბაზა არის მთლიანად ინტერნეტ სივრცეზე ორიენტირებული. სახელმწიფო გრანდიორული თანხა გაიღო ამ ყველაფრისთვის, სამაგიეროდ ეს იყო უზარმაზარი ხელშეწყობა, რითაც ვერაპირ გზა გაუხსნა მეცნიერებს. მასში ჩინელი მეცნიერები აქვეყნებენ ნაშრომებს, მაგრამ მკითხველისთვის, მსოფლიოსთვის გასხვავებით, ვთქვათ, ევროპაში, ყოფილიყო საბჭოთა სივრცის ქვეყნებში. უკრინამ, ბალტიისპირეთმა დაიწყეს ამის გაკეთება, ესპანეთში უკვე დასრულებულია ეს პრო-

ცესი. 2005 წელს შექმნა რუსეთის სამეცნიერო ციტირების ინდექსი (DEIO). მერე, 2006 წელს, ამ ბაზის დიდი მოდერნიზაცია გააკეთეს და ისეთი ეროვნული ბაზა შექმნეს, სადაც ხელი გაუხსნეს რუსეთში არსებულ ყველა ჟურნალს, სამეცნიერო მონოგრაფიებს, ინტერნეტ-კონფერენციებს. ფაქტობრივად, უფასოდ შეუძლიათ ამ ბაზაში არსებული ყველა რესურსის გამოყენება.

აქ არის მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც. ვთქვათ, საქართველოში ჩვენ გვინდა, დავადგინოთ რეიტინგი სასწავლებლების, ჟურნალების, პროფესორ-მასწავლებლების და ა. შ. რა საშუალებებით და როგორ შეიძლება დადგინდეს რეიტინგი? კითხვა არსებობს, მაგრამ არაა პასუხი და აი, რატომ. ვთქვათ, ერთმა მეცნიერმა მოახერხა და ხუთი სტატია გამოაქვეყნა WoS-ში, მეორემ – Elsevier-ში, მესამემ – სხვა ბაზაში, რომელიც საკმაოდ კარგი და ევროპული მნიშვნელობისაა. სამივემ ხუთ-ხუთი ნაშრომი გამოაქვეყნა, მაგრამ როგორ შევადაროთ ერთ-მანეთს, რეიტინგით რომელი უფრო მეტია? ძალიან ძნელია ამის თქმა. რეიტინგი დგინდება ციტირების რაოდენობით და ჟურნალების იმპაქტ ფაქტორით, მაგრამ სხვადასხვა ბაზებში მოპოვებული ციტირების ინდექსით მეცნიერების რეიტინგს ვერ დავადგენთ. რეიტინგი დგინდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბაზის ფარგლებში. ამიტომ, იმ ქვეყნებში, რომლებმაც ეროვნული ციტირების ინდექსი შექმნეს, მიეცათ საშუალება, დაედგინათ ჟურნალის რეიტინგიც და მეცნიერების რეიტინგიც.

საქართველო დგას ასეთი რეალობის წინაშე, რომ დღეს თუ ხვალ, უნდა შექმნას ბაზა. არ ვიცი, ამას რას დაარქმევს, მაგრამ ისეთი ბაზა უნდა შეიქმნას, რომელიც მოიცავს საქართველოს მთელ კვლევით პოტენციალს და ყველა კვლევა ამ ბაზაში განთავსდება. პირადად ჩემი დამოკიდებულება და მოსაზრებაა – საქართველოში ეს დაუყოვნებლივ არის გასაკეთებელი. საქართველოს სამეცნიერო ციტირების ინდექსი, ეს არის გზა, რომელიც მოთხოვნების ერთ კრიტერიუმზე იქნება მთლიანად დაფუძნებული. ამ ეროვნული ბაზაში უნდა განთავსდეს უკვე არსებული და ახლად შექმნილი ჟურნალები, მონოგრაფიები, ინტერნეტ-კონფერენციების მასალები, სხვადასხვა ექსპედიციის შედეგები და სხვა. ამ ერთი სამეცნიერო ბაზის ფარგლებში დაინება ინდექსაცია. ასე რომ, დღესდღეობით, ჩვენს წინაშეა ეს რეალობა – საქართველოში არ არსებობს ერთიანი ბაზა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მკვლევარს, ჯერ მოიპოვოს კვლევების შესაბამისი მასალები, რაც არსებობს, შემდეგ თვითონაც შეძლოს საშუალება, საქართველოში არსებული მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოაქვეყნოს თავისი კვლევის შედეგები.

ერთ საკითხს წამოვწევ – ყველა სასწავლებელს აქვს ჟურნალები. უმეტესი მათგანი არის ბუჭდური სახით. მე ვიტყვოდი, რომ ეს ჟურნალები არის ძალიან ვინა მოხმარების. დღეს მე არ ვიცი, ვთქვათ, თელავის, ქუთაისის, თბილისის უნივერსიტეტების ისტორიკოსები რას აქვეყნებენ. წარმოიდგინეთ, რომ არსებობდეს ეს ბაზა, ერთი და იგივე თემაზე შევძლებდი უამრავი მასალის მოპოვებას, რაც კი გამოქვეყნებულა საქართველოში. ეს არის სწორედ ის, რაც აუცილებლად უნდა გააკეთოს საქართველოში. ეს არის ჩვენი დღის წესრიგი მეცნიერებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, მე პირადად, მქონდა რამდენჯერმე კონსულტაცია პიროვნებებთან, ვისაც შეეძლოთ ამ საკითხის მაღალ დონეზე წამოწევა, თუმცა, მათგან დიდი მხარდაჭერა ვერ ვიგრძენი. თუარადა, მე მაქვს კონტაქტები მათთან, ვინც ამ სფეროში მუშაობენ და ვინც იზიარებს ჩემ აზრს – აუცილებელია ერთიანი ბაზის არსებობა, რომელიც დაეფუძნება ეროვნული ციტირების ინდექსს. მე მჯერა, ადრე თუ გვიან, საქართველოს მოუწევს ბაზის შექმნა, რომლითაც გლობალურ სივრცეში წარდგება. მოფიქრებული მაქვს დეტალურად, როგორ უნდა მოხდეს, სახელმწიფო დონეზე, ბაზის ჩამოყალიბება, შემდეგ – განვითარების რა გზა უნდა გაიაროს, როგორ უნდა შემოვიღოთ საერთო კრიტერიუმები და როგორ უნდა მოხდეს ჩვენი ბაზის გაერთიანება სხვა ბაზებთან. ძალიან კარგი იქნება, თუ ვინმე გაიზიარებს ჩემ აზრს და მას მიეცემა მსვლელობა. საქართველო, ადრე თუ გვიან, დაადგება იმ გზას, რომელიც აუცილებლად გასავლელია.



22-23 იანვარს ვიმყოფებოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მასპინძლობდა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს თემატურ სემინარს (EUA-CDE Thematic Workshop). სამუშაო ენა გახლდათ ინგლისური. პირველ დღეს გაიმართა რეგიონული მრგვალი მაგიდა, პრეზენტაციები გაკეთდა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს, ასევე, მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლების მიერ. პრეზენტაციებისა და დისკუსიის თემა გახლდათ სადოქტორო განათლების ორგანიზება უნივერსიტეტებში, გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეორე დღე, რო-

საერთაშორისო სემინარი – სადოქტორო სწავლების ორგანიზების უნივერსიტეტში

თეა თათანაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დესაც გაიმართა მასტერკლასი; უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, მოდერატორმა წარმოადგინა დავალებები, რომლის თემატიკა იყო ინსტიტუციის, დოქტორანტიებისა და ხელმძღვანელების ურთიერთობების საკითხები. რა უნდა გააკეთოს ინსტიტუციამ, სადოქტორო სწავლების ორგანიზებას ხელი რომ შეუწყოს და ეფექტური გახადოს სადოქტორო საფეხურზე სწავლების

სადოქტორო პროგრამებს. ამდენად, მინვეული ვიყავი აღნიშნულ ღონისძიებაზე, როგორც სამეცნიერო უნივერსიტეტის წარმომადგენელი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, ჯერ კიდევ 2018 წელს, სადოქტორო სკოლის ჩამოყალიბებაზე აქტიურად დააყენა საკითხი, რომელიც განერა სამოქმედო გეგმაშიც. ამდენად, ძალიან დროული იყო ჩვენთვის აღნიშნულ ღონ-

ისიძიებაზე დასწრება, იმ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ მოხდა და მიღებული ინფორმაციები აისახება საუნივერსიტეტო რეგულაციებშიც.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ სადოქტორო სკოლების შესახებ – რატომ არის მნიშვნელოვანი ამ რგოლის არსებობა ინსტიტუციაში. რეალურად სადოქტორო სკოლა ორგანიზებას გაუწევს გარკვეული რე-

უნდა უზრუნველყონ ხელმძღვანელთა საბაზისო უნარების განვითარება დოქტორანტებთან ურთიერთობის მიმართულებით, ზოგადად, დოქტორანტის ხელმძღვანელობის კულტურის დამკვიდრება ინსტიტუციაში, რაც გულისხმობს შემდეგს: ხელმძღვანელი უნდა იყოს მზად, რომ არსებობენ სხვადასხვა ტიპის დოქტორანტები, თავიანთი ინდივიდუალური ისტორიით, კულტურით, კომპეტენციებითა და საჭიროებებით. ხელმძღვანელობა არის მოთხოვნადი საქმიანობა. არ არსებობს შაბლონი ხელმძღვანელებისათვის. უნდა მოერგოს დოქტორანტებს. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ერთობლივი კვლევისას დოქტორანტი არ დარჩეს გაურკვეველ მდგომარეობაში და მიიღოს ამომწურავი პასუხი; იცოდეთ, რომ სადოქტორო ნაშრომის მომზადება არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს გრძელვადიან ვალდებულებას ორივე მხრიდან.

სადოქტორო კვლევისას ასევე მნიშვნელოვანია დოქტორანტის მხრიდან გარკვეული წესებისა და ურთიერთობების რეგულირება, რათა ორმხრივი ურთიერთობები იყოს ეფექტური, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს სადოქტორო ნაშრომის წარმატებით დასრულებას.



● **15 იანვარს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის 208 აუდიტორიაში გაიმართა მორიგი შეხვედრა ინჟინერიის,

აგარაულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის განვითარების-

ინფორმაცია

ვის სტუდენტების, დამსაქმებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კურსდამთავრებულების, პროფესორ-მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით. პროგრამის ხელმძღვანელებმა, ასოცირებულმა პროფესორებმა ლელა ნითაშვილმა და ლერი ნოზაძემ მონაწილეებს განსახილველად ინფორმაციული ტექნოლოგიების განახლებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამა წა-



რუდგინეს. დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტული ინიციატივები და შენიშვნები გამოთ-

ქვეს. შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა.

უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

სწრაფად მიიღია შემოდგომის სემესტრის 15 კვირა, შეუმჩნევლად გაიარა ყოველდღიური რუტინით დატვირთულმა. დადგა საშობაო არდადეგები, რამაც მხიარულად და ბედნიერად ჩაიარა და აი, 8 იანვარიც, იწყება ყველაზე საპასუხისმგებლო და მთელი სემესტრის შრომის შედეგების დადების დრო. იწყება შემაჯამებელი გამოცდების სამი კვირა. ნერვიულობა, ტესტებისა და საკითხების გაზიარება, უძილო ღამეები და ჩაბარებული გამოცდის მერე განცდილი სიამოვნება, რაც გამოიხატება ბედნიერი სახით წარმოქმნილ ერთ სიტყვაში – „ჩავაბარე“.

გამოცდები სამი სახით ტარდება – პედაგოგი იბარებს ზეპირ გამოცდებს, საგამოცდო წერით და ელექტრონულ გამოცდებს. ელექტრონული გამოცდა უფრო ახარებთ, რადგან შედეგს ტესტის დამთავრებისთანავე იგებენ, წერითი გამოცდის დროს კი შედეგის მოლოდინი კიდევ ერთი კვირით შეიძლება გაგრძელდეს, ვიდრე გასწორდება და მერე სტუდენტურ პორტალზე აიტვირთება. საგამოცდოს წესები უკვე გამოცდილმა სტუდენტებმა კარგად იციან და შედეგებით მშვიდად არიან. აი, პირველკურსელები უფრო ღელავენ, ვიდრე თვალი – დამკვირვებელი, რეგისტრაცია. ეს ყველა-

ოპიუმტუჩაქ და პეპაქ ჩაბარებული გამოცდა - მომავალი წაჩქარების საწინდარი

დარეჯან ვედიკოვი
სასწავლო პროცესის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საგამოცდოს მმართველი

ფერი ახალია მათთვის, თუმცა, არც ისე, ეროვნულად ხომ ასე ჩააბარეს და ასე მოიპოვეს სტუდენტის უფლება. საგამოცდო წესები – ობიექტური; ობიექტურად და კარგად ჩაბარებული გამოცდა მომავალი წარმატების საწინდარია. ელექტრონულ გამოცდაზე მათ ორი დამკვირვებელი ხვდებათ, ერთი რეგისტრაციას აკეთებს, მეორე კომპიუტერთან მუშაობს ადევენებს თვალყურს, შპარგალკა-გადალაპარაკება არ შეიძლება; აი, ტექნიკურად თუ დაგჭირდა დახმარება, მზადაა და დაგეხმარება. წერით გამოცდაზე უკვე სამი მეტაფორული ელოდებათ, აქაც ჯერ რეგისტრაცია, მერე შტრისკოდით დამიწერილი ტესტი და 2 საათი სამუშაო დრო. წესები აქაც იგივე – გადალაპარაკება და შპარგალკა არ შეიძლება, თუ შეგამჩნიეს, მიგიკრავენ შპარგალკას ნაშრომზე და დაემშვიდობე გამოცდის შედეგს, ნაშრომი აღარ

გასწორდება. გადალაპარაკებაზე, ერთი შენიშვნის მერე თუ კიდევ მიიღე, შეიძლება გამოგიშვან კიდევ და ისევე კრედიტი ან განხილვით გამოცდა... ასე რომ, ეს წესი უკვე ყველა სტუდენტმა კარგად იცის და გამოცდაც მშვიდად მიმდინარეობს. გამოცდის დაწყებამდე საგამოცდოს ხელმძღვანელი კიდევ ერთხელ შეახსენებს წესებს, გააფრთხილებს და წარმატებებსაც უსურვებს. ეგ არის მხოლოდ, ელექტრონული გამოცდიდან გამოსულ სტუდენტებს ვერ მოაცილებს საგამოცდო დარბაზს. ისინი ახლა გამოცდაზე მყოფებს გულშემატკვრებენ და მათ სიხარულს თუ მწუხარებას საკუთარვით განიცდიან. რამდენჯერაც არ მისცემ შენიშვნას – წადით ახლა სახლებში, ცოტახანში იგივე სიტუაცია დაგხვდებათ. დამკვირვებლები, კვლავაც, უნივერსიტეტის თანამშრომლები არიან, ისინი ამ დროს და-



მატებით სამუშაოს ასრულებენ. მანამდე სტუდენტებთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ, ახლა ცოტა ცივი და შეუვალი სახით ხვდებიან; გამოცდა გამოცდაა და მერე ისევე გაგრძელდება ურთიერთობები ჩვეულ რეჟიმში. სტუდენტები ხომ ჩვენი მომავალი კოლეგები და მეგობრები არიან. აი, ასე ჩაივლის შემაჯამებელი გამოცდების კვირეული. ის, ვინც ხვდება, რომ გამოცდა დადარა და ვერ ჩააბარა, მაშინვე გადაბარების დროს კითხულობს და თადარიგს იჭერს. მერე მიწყნარდება უნივერსიტეტის ეზო და აუდიტორიები,

ისეთი სიჩუმე დაისადგურებს, გეგონება „ამ სახლში არავინ ცხოვრობს“. ეს გაგრძელდება, რაღაც, ერთი კვირა. მერე ისევე გამოცდები და სტუდენტები, თუმცა, უკვე არა იმ რაოდენობით, რადგან ახლა დამატებით გამოცდებზე მოდის ის, ვინც ვერ ჩააბარა, ვერ გამოცხადდა გარკვეული მიზეზების გამო და განცხადება დაწერა – გთხოვთ, გადამიტანოთ გამოცდები, კიდევ ის, ვისაც ფინანსური პრობლემები ჰქონდა და დროებით შეუჩერდა სტატუსი. ასეთი შემთხვევები უკვე შედარებით ცოტაა, მაგრამ უნივერსიტეტს კვლავ ახმიაანებენ ერთი კვირით და მერე... მერე უკვე, საგაზაფხულო სემესტრის დაწყებამდე, 24 თებერვლამდე, ისევე სიმშვიდე და ისადგურებს უნივერსიტეტის ეზო-მიდამოში ვიდრე გაზაფხულის მერცხლებივით კვლავ არ აახმაურებენ ჩვენი საყვარელი სტუდენტები უნივერსიტეტს. აი, ასეთია სტუდენტური ცხოვრება ერთი სემესტრის განმავლობაში, თუმცა, ეს მხოლოდ ძალიან მშრალად და ზედაპირულად, თორღე სტუდენტებს, სემესტრის განმავლობაში, გაცილებით საინტერესო ცხოვრება აქვთ თავიანთი აქტივობებით და წარმატებებით. და კვლავაც – მრავალი წარმატება და ბედნიერი მომავალი მათ!



ავთანდილ ბერიძე – 70

იდეის კაცი

მასპინძელი ბერიძეები, ძირითადად, დადებული ან ერკოტიდან არიან ჩამოსული. ერთ დროს მშვენიერი სოფლები დღეს ნასოფლარებია. დადებული და ერკოტაში ბერიძეები ჩადიან ბერიძეებიდან. ეს სოფელი ერკოტიდან ბუზმარეთისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. მთები კი ერუშეთისაა. შეიძლება ითქვას, რომ ბერიძეებიდან წამოსული კაცი ერუშეთშია. ერუშეთი ისევე იყო მესხეთის ნაწილი, როგორც ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი და სხვა.

ეროვნებით ქართველი, მესხი, წარმომავლობით დადებულიდან, ასე შეგვიძლია დავასახლოთ ავთანდილ ბერიძე, რომლის ოჯახიც – მშობლები მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან ასპინძაში დამკვიდრდნენ. ცხოვრობდნენ ასპინძის რაბათში, ჰქონდათ მრავალშვილიანი ოჯახი და განათლების, ცოდნის დიდი სიყვარული. ბავშვობაში დადებულიდან წამოსული ოჯახების ბავშვებს გვიყვარდა მათთან ბუზმარეთისაკენ ფეხმძიმე პურის გატყევა და პოეზიაზე, ხატვაზე, საქართველოზე, მშობლიურ კუთხეზე საუბარი.

შეუძლებელია ამ გარემოში გაზრდილი კაცი სხვა გზას დასდგომოდა, გარდა იმ გზისა, რომელსაც გაუყვა ავთო ბერიძე. შორს წავიყვანს მისი ბიოგრაფიის დეტალებზე საუბარი. ერთი აუცილებლად სათქმელია – სადაც ყოფილა ავთანდილ ბერიძე – ეს იყო კომკავშირი, პარტიული თუ ადმინისტრაციული სამსახური, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, მისი ცხოვრების, საქმიანობის უმთავრესი ნიშანი სამშობლოს სამსახური და თავის ქვეყანაზე ზრუნვა იყო.

ავთანდილ ბერიძის, როგორც ისტორიკოსის და როგორც შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში მინდა მაინც მისი დიდი საქმე გამოვყოთ – „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსება, მისი რედაქტორობა და პოეზიის დღესასწაულის – „შოთაობის“ აღდგენა, რეგულარული ჩატარება. გამოაკელით ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ეს ორი რამ და ადვილად დანიხავთ, რამხელა სიკარიელე დარჩება, რა ღარიბები ვიქნებოდით ავთანდილ ბერიძის ღწვისა და საქმიანობის გარეშე. ოც წელზე მეტია, „ლიტერატურული მესხეთი“ გამოდის ყოველთვიურად. არ ჩავარდნილა! ეს არის მრავალგვარადიანი, არაპოლიტიკური ლიტერატურული რესპუბლიკური გაზეთი, რომლის გამოსვლასაც საქართველოს ყველა კუთხეში ელოდებიან. ელოდებიან არა პოლიტიკური

ინტრიგებისა და კლანური დაპირისპირების ჟურნალისტური ნაქებების გამო, არამედ მაღალხარისხიანი ლიტერატურული პროდუქტის ლოდინით. გაზეთმა შეკრა და თავი მოუყარა მესხეთში მოღვაწე ყველა სახისა და ყველა დონის შემოქმედს, ხალხურ შემოქმედებს, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, ისტორიულ, ონომასტიკურ, ლიტერატურათმცოდნეობით, ლინგვისტურ, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ პუბლიკაციებს, გააცოცხლა მე-19-20 საუკუნის მიწვეული წერილები და ბევრი მათგანი შემდეგ მსხვილტანიან გამოცემებად აქცია.

ავთანდილ ბერიძე იდეის კაცია. იდეის გულსთვის სწირავს ყველაფერს. ამბობენ, ფული ყველაფერია. თუ ფული ყველაფერია, შეუძლებელია გაეკეთებინა მას ის, რაც გააკეთა. ფული გაჩნდება, თუ ფულიანი დაინახავს, რომ საქმისთვის, მომავლისთვის სჭირდება პატიოსან მოღვაწეს დაფინანსება. როდესაც ავთო ბერიძის საქმიანობას, აღსრულებულ იდეებს ვუყურებ, ვფიქრობ, მართლაც მძლავრია უკვე საქართველოში პატიოსანი ბიზნესი, ბევრია ისეთი ფულიანი კაცი, ვისთვისაც თავისი ქვეყნის მომავალი სულ ერთი არ არის. სხვაგვარად წარმოუდგენელია შედეგები, რასაც ავთანდილ ბერიძე აღწევს.

70 წლისა გახდა ავთანდილ ბერიძე. თავის იუბილეს მიუძღვნა პოეტმა მშვენიერი ლექსების ნიგნი „მარადიული ვალი“, რომელშიც აქა-იქ ასაკზეც ლაპარაკობს, შემოპარულ სიბერეს აღიარებს:

„დავბერდი,
და მაინც არ ვიტყვ
ისტობარს-
წლები რომ მაძიებებს,
არც დარდი, გულს

შემოწოლილი,
ღამე რომ სულ აღარ მაძინებს.“
მისი ცხოვრება და რიტმი სხვა რამეს მეტყველებს. სამოცდაათი წლის ავთანდილს არავითარი სიბერე არ ეტყობა. ჩვეული ენერგიით, ჩვეული შემართებით აგრძელებს დაწყებულ საქმეს.

ძალიან გაუჭირდებოდა ავთანდილ ბერიძეს იმ ყველაფრის გაკეთება, რაც გააკეთა, მხარში რომ არ სდგომოდა შესანიშნავი ადამიანი, მეუღლე ქეთევანი. საქართველო მათი შესანიშნავი ოჯახისაგან ახალ-ახალ გამარჯვებებს ელის. ვულოცავ ავთოს ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, იმ შემართებით სიარულს, რომლითაც ვართ ნაჩვევი მისი მეგობრები.

მერაბ ბერიძე
პროფესორი

ამ დღეებში ჩვენს დიდ მეგობარ თანამოკალმეს, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს 70 წელი შეუსრულდება.

როდესაც ამ წერილის სათაურზე ვფიქრობდი, ვერაფრით ვერ შევკუმშე იგი. „სამცხე-ჯავახეთი“ გამომეტოვა? – არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან ბატონი ავთანდილი სწორედ ამ მხარეში (ცხოვრობს და მოღვაწეობს და აქედან ფენს (თავისი გაზეთით) ქართული კულტურისა და ისტორიის ფოლიანტებს მთელ საქართველოს. „ისტორიის“ გამომეტოვა? – არც ეს შეიძლებოდა, რადგან „მისი“ გაზეთიდან ქართული კულტურის ისტორიის, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მთელი რიგი აქამდე უცნობი თარიღები და მოვლენები გადაიშალა ხოლმე ჩვენს თვალწინ. რაც შეეხება „მეცხოვნეს“, ეს სიტყვა სავსებით მიესადაგება ბატონი ავთანდილის ღვაწლს. წინათ თუ ჩვენი წინაპრები თორაბჯარასხმულნი დღე და ღამ დარაჯობდნენ ჩვენს სამშობლოს, ამჟამად ბატონი ავთანდილი თავისი კალმით და დაუღალავი პატრიოტიზმით (თანამოაზრეებთან ერთად) იცავს ერთ დიდ ციხეს – სამცხე-ჯავახეთის კულტურას და ისტორიას. იცავს სიბნელისგან, გაუნათლებლობისგან, რუტინისაგან და „თავის“ გაზეთში დანთებული შემოქმედებითი ცეცხლით მთელ საქართველოს ანათებს.

„შემოქმედებით ცეცხლში“ იგულისხმება, აგრეთვე, 2008 წლის აღდგენილი პოეზიის სახალხო დღესასწაული „შოთაობა“ და გაზეთის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც მთელი საქართველოს წამყვანი პოეტები იღებენ მონაწილეობას.

„ლიტერატურული მესხეთი“ თავისი შინაარსით და ლიტერატურული პროდუქტის ხარისხით ტოლს არ უდევს რესპუბლიკაში გამომავალ სხვა ლიტერატურულ გაზეთებსა და ჟურნალებს; ასევე „შოთაობა“ ერთ-ერთ მასობრივ სახალხო დღესასწაულად ითვლება მთელ ქვეყანაში, ხოლო ლიტერატურული კონკურსიც, ასევე, ერთ-ერთი პრესტიჟულია.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი (სხვებს ნუ ეწყინებათ): ბოლო 20 წელია, მესხეთ-ჯავახეთის კულტურა და განათლება დგას ორი ბერიძის მხრებზე – ავთანდილ და მერაბ ბერიძეზე. ახალციხის უნივერსიტეტის დამაარსებლის, დიდი ხნით – მისი რექტორის (ამჟამად რექტორის მოადგილის), მეცნიერისა და პოეტის ბატონი მერაბ ბერიძის დაბადების 70 წლისთავი შარშან აღნიშნა მთელმა საქართველომ. ვსარგებლობ შემთხვევით

და (თუმცა, დაგვიანებით, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“) პირადად ჩემი გაზეთის – „ბორჯომის“ მთელი რედაქციის სახელით ბატონ მერაბს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ მომავალშიც შემოქმედებით წარმატებას!

ბატონ ავთანდილთან ერთად ბატონ მერაბს ლომის წილი მიუძღვის 1999 წელს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსებაში (სარედაქციო საბჭოს მუდმივი წევრია) და სახალხო დღესასწაულის „შოთაობის“ აღდგენაშიც. 2015 წელს, აგვისტოში, გაზეთს მე-200 საიუბილეო ნომრის გამოშვებასთან დაკავშირებულ ჩემს წერილში ვწერდი (ეს წერილი ამ გაზეთმა დაბეჭდა): „ლიტერატურული მესხეთის“ ყოვე-

სამცხე-ჯავახეთში ქართული კულტურისა და ისტორიის მეცხოვნე

ლი ახალი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად იმიტირებდა ველი, რომ მისი ფურცლებიდან შემომანათებს ქართული ეთნოსი, ქართული ფოლკლორი, მშვენიერი პოეზია, პროზა, კომპეტენტური ავტორების მეცნიერული წერილები... ხოლო მის რედაქტორზე აღვნიშნე: „გადაუჭარბებლად ვამბობ: მაოცებს ბატონი ავთანდილის რუდუნება, შრომისმოყვარეობა, საინტერესო ავტორთა მოძებნის უნარი, მართლაც, ხალასი პატრიოტიზმი და პიროვნული დიდბუნებოვანება!“...

რასაკვირველია, ამ აზრზე ვარ დღესაც! ბატონი ავთანდილი უზადო პიროვნებაა, ის საბუნებრივად, რომელიც თვითონ იწვის და სხვას გზას უნათებს! „შოთაობის“ თითქმის ყოველ დღესასწაულს დავსწრებივარ. აქ ცხადდება პოეზიის კონკურსში გამარჯვებულთა ვინაობა. ბატონ ავთანდილს საოცრად უხარია ამ კონკურსით ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორთა აღმოჩენა და სცენიდან საჯაროდ გამოცხადება: „შოთაობის“ ჩატარება და კონკურსის გამოცხადება მართო იმიტირებდა ველი, რომ ესა და ეს ავტორი აღმოვაჩინეთო!

შარშან გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ მთელი ერთი გვერდი მიუძღვნა ბატონ ავთანდილს. ამ ინტერვიუში აღნიშნული აქვს, რომ მისი ერთ-ერთი პოეზია „ლიტერატურულ მესხეთზე“ ფიქრი. რომ იცოდეთ, მართლაც რამდენს ფიქრობს თავის გაზეთზე. მთელ მესხეთს ფეხით შემოივლის ხოლმე და თხოვს ორგანიზაციებს თუ ცალკეულ პიროვნებებს, რომ გამოიწვიონ გაზეთი. მუდმივად სპონსორების

ძებნაში და ფინანსურ გაჭირვებაშია, მაგრამ გაზეთს კვლავ აცოცხლებს და „შოთაობას“ კვლავ მართავს.

ბატონი ავთანდილი მესანიშნავი პოეტიცა. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის ფილიალის ხელმძღვანელია. (რასაკვირველია, სპონსორების დახმარებით) ახლახან გამოსცა ლექსების მორიგი კრებული სათაურით „მარადიული ვალი“. რა არის ეს მარადიული ვალი? – კაცური გაგებით მიღწეული სამშობლოს ფანასკერტელობა და მეცხოვნეობა! წიგნი სავსეა არა მხოლოდ ზნეობრივი სიმალეების გადმოცემის პერიპეტეებით, არამედ იმ დიდი ტკივილებით, რაც დღეს საქართველოს ჭირს.

მოვუსმინოთ: „მთლად გამოგულა ბოლმამ და სვედამ, ლამის ვიტირო და ვიღორილო, სადა ხარ, სადა, ხმა ამოიღე, ჯიშო ქართველო, შე მადლიანო!“...

ანდა: „როგორ არ მინდა დავიჯერო, რომ ის აღარ

ხარ, ეჰ, „ფურთხის ღირსო საქართველოც“, როგორ მიყვარხარ!“ ესეც ხომ ჭეშმარიტებაა: „რა დრო დამდგარა, არაკაცნი კისერზე გვაზის, სწავლას და ცოდნას დაუკარგავს, ღმერთმანი, ფასი!“...

მან გამოსცა სქელტანიანი „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, „მესხური ფოლკლორის“ I ტომი. გამზადებული აქვს II და III ტომიც და ფინანსების მოძიების შემდეგ მათაც გამოსცემს. დაუცხრომლად იღწვის, 70 წლის ასაკი სულაც არ ეტყობა!

თვეში ერთხელ შემოაღებს ხოლმე „ბორჯომის“ რედაქციის კარებს. ბავშვით ვიხსენებია მისი გამოჩენა. მთლიანად და გამოჩენილი ხმის ტემპრითაც დადებით აურას და კეთილშობილებას ასხივებს.

მას მიკუთვნებული აქვს: „ქართული კულტურის დამაპანის“, „ქართული მწერლობის ამაგდარის“ და „ქართული კულტურის რაინდის“ ნოდებები.

ვუსურვებთ ბატონ ავთანდილს, ქართული კულტურის ამ დაუღალავ მეცხოვნეს, კვლავაც მტკიცედ იდგეს ღვთისგან ბოძებულ სადარაჯოზე!

P.S. პირად საუბარში თქვა, რომ თავის იუბილეს მხოლოდ ოჯახურ წრეში აღნიშნავს. გაოცებული დავრჩი. გასაგებია ეს თავმდაბლობა, მაგრამ ნუთუ ასპინძა და ახალციხე (მთელი რეგიონი და საქართველოც) მართლაც არ აპირებენ მისი ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნას?!

უშანგი ჯანპირაშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ამ მინდა მოკვდავ და დავიმარხო

აქედან გაქცევას არ ვაპირებ, არასდროს ვყოფილვარ უილაჯო, აქ ვდგავარ ბებური მეციხოვნე, ჩემი საქართველოს სადარაჯოდ.

ეს მინა ათასჯერ ნაოხარი არ მინდა ოდესმე დამეკარგოს, მე მისი ტალახი მირჩევნია, სხვის ედემს, მწველსა და საარაკოს.

ბელტს ბელტზე კვლავ ისევ გადავანვიწვინ, მინას მოვამზადებ სავენახოდ, მე სხვა არაფერი არ მაძარდებს, – აქ მინდა მოკვდე და დავიმარხო.

უღირსმა თავად დაიხურა გვირგვინი დაფნის

„ყველაფრით დალილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა“
შექსპირი

დღეს ღირსეული უღირსების გამხდარა მონა, დღი იმედი მომავალის დრომ გაიყოლა, ყოფა არსობის ისევ კუჭზე გადადის მხოლოდ, ვინ იცის, კიდევ რა მოგველის ბოლოს და ბოლოს.

ჭკუა-გონება დაუკარგავს ალალს და მართალს, რეგენი, ღმერთო, როგორც უნდა დღეს ისე გემართავს.

უღირსმა თავად დაიხურა გვირგვინი დაფნის, ჩარჩი-ვაჭარი ზნეობას და მორალს გვასწავლის.

რა დრო დამდგარა, – არაკაცი კისერზე გვაზის, სწავლას და ცოდნას დაუკარგავს, ღმერთმანი, ფასი...

თუ კიდევ ასე გაგრძელდება, ფუ, ასეთ ყოფას, ძალღურ სიცოცხლეს მირჩევნია ისევ არყოფნა.

მართალი იყავ

მართალი იყავ, ბევრ რამეში მართალი იყავ, მტერი არასდროს გაგიხდებოდა თურმე, მოკეთე, სულ სხვა ყოფილა, ჩემო კარგო, საქმე და სიტყვა, მე ბევრ რამეში ჩემი თავიც ველარ მოვთოკე.

ყველას გულლიად, გულბრწყვილოდ მივანდე თავი, უღირსებს არც კი შეუცვლიათ სახე და ნირი, ყველამ მომიზლო უკადრისი, – გამთელეს ლამის, თუმცა კი ისევ მიჩვენებენ ბაგეს და ღიმილს.

ისევ ისევე შემომცქერის ათასი თვალი, ისევ მაცდურად გამომიწვდის ვილაცა ხელებს... ააშრილებს ქადრის ხეებს სამხრეთის ქარი, დაფიქრდები და... ისევ გვიან ვინანებ მერე.

დრო

გაივლის დრო... ჩადგება ქარი, გაივლის დრო... გამოვა დარი, გაივლის დრო... გაქრება ნამი, არ გაჩერდება არცერთი წამი... დრო, დრო გაივლის, – მას ვერავინ ვერ შეაჩერებს... დრო, დრო გვიჩვენებს, – მომავალი ვის შეაჩვენებს.

ამით არაფერი მრჩება

გული არ გქონია, ვგრძნობდი, რატომ მომიმატე დარდი, მე აქ შევეჩვიე ლოდინს, – დრო რა უმოწყალოდ გადის.

„მარადიული ვალი“

ავთანდილ ბერიძე

ო, მიუფეო!

ჯვრის მონასტერში ვანდალდება გადაფხიკვის რუსთაველის ფრესკა

ო, მიუფეო, ჩემო ხატო, ჩემო ღვთაებავ, მუხლმოდრეკილი შენდობას გთხოვ, მე უმეცარი, იმ არაკაცთა, გარენართა და იმათ გამო, ვინაც ნაბილნეს შენი ხატი და სალოცავი.

უგუნურთ საქმეს ხომ ოდესმე განიკითხავენ, თუმცა, შეუნდობ უწმინდურთა საქმეს ბინიერს, რადგან უფალი თავად ხედავს და თვით განაგებს აქ, ამქვეყნიურ ყოფას ჩვენსას, ყოფას მინიერს.

ისევ ბრძენთაგან ნათქვამია კაცთ-კაცთაგანზე, ადამის მეთა ნახელავთა, ბრიყვთა მოდგმაზე, – თუნდაც დაატყდეს ქვეყნის რისხვა ავის მდომელთა, ვერარა შეცვლის ბოროტების ზრახვას ყოველთა.

ღმერთმა შეუნდოს უცხო თესლის ქმედებას კაცთა, სახე უგვანოს, უსახოთა, ხელით ნახელავს, რად არ მოდიან უგუნური აზრად აროდეს, რატომ სწადიან ქვეყანაზე ცოდვას ამხელას.

იქ, უცხო ცის ქვეშ, ერთი იყავ გამორჩეული, სახეა შენი თვალს უთხრიდა ვინ იცის, რამდენს, „შენ სამშობლოსთვის, სამშობლოსთვის, იყავ მლოცველი“ და ჭეშმარიტი მომავლისთვის სხვა ხიდი გასდევ.

მაინც წამია

ჩვენ ვითვლით წამებს, ვითვლით წუთებს, საათებს ვითვლით, ვითვლით ყოველდღე განვლილ დღეებს, – მგრავალდება წელი, ავად თუ კარგად, მოვედით დღემდე, იმედით მაინც ხვალის დღეს ველით...


თან გვიხარია, თან გვწყდება გული, რამდენ ზამთარსაც გადავაგორებთ, გაზაფხულის და ხვალის იმედით ვიმაგრებთ გულს, იმედს ვიტოვებთ.

დროც ვერ გვიშუშებს წყლულებს, იარებს, ეს, რამდენ ზამთარს ვხვდებით ეულად, დრო, იმედით რომ შევყურებთ ასე, ჩვენთვის რამდენჯერ გადარეულა.

ცხოვრება მაინც წამია დროის, – მაღალმა ღმერთმა ასე ინება, ვიხსენებთ წარსულს ლამაზ სიზმრებად, მივყვებით მაინც დროის დინებას.

ვიღრება

დედაო ღვთისავ, შეინყალე შენი წილხვედრი,



მინა, უმაღურთ თავშესაფრად გადაქცეული,

დედის არმდომთა, წინაპართა მაგინებელი შვილებით სავსე, მაგრამ ალალი, გენით ქართულით, სისხლით ქართულით გაჯერებული, შენზე მლოცველთა, შვილთა მრავალთა, – მინა თამარის, წმინდა ნინოს ძვალთშესალაგი... შვილნი უძღურნი, გადამთიელთა, ურწმუნოთა ამყოლ-მიმდობნი... შენ გააჯები, შეუნდე მათ და სიყვარულით აღვსილი გულით შეინყალე, დედაო ღვთისავ, მტერ-მოყვრის მიერ გაყიდული, მოტყუებული შვილნი შენნი და, იმედად ხვალის, შემოაბრუნე სამსახურად მშობლიურ მინის!

ის ვითა, რაც გულმა მირჩია

დავბერდი, და მაინც არ ვიტყვებ იხტიბარს – წლები რომ მამძიმებს, არც დარდი გულს შემოწოლილი, ღამე რომ სულ აღარ მაძინებს. რამდენი განვლიე წლები და უკან არც მოხედვა მაშინებს, ისა ვარ, რაც ვიყავ გუშინ და მე ჩემი წარსულიც მაშვიდებს.

ის ვითა, რაც გულმა მირჩია

ის ვითა, რაც გულმა მირჩია, მოვიძიე, რასაც რომ ვთესავდი, ჩემს იმედს – ცხოვრების ციტადელს ჭკუით და გონებით ვკვსავდი.

წარსული ანმყოში ცოცხლდება, დრო მოვა დადგება დაისი, და ჩვენი კაცური კაცობის დღეებაც ნელ-ნელა ჩაივლის.

იმაღი

ჯერ არ მინახავს, არ მინახავს კაცი ამქვეყნად, რომ კმაყოფილი იყოს მაინც თავის ცხოვრების, ყველა მოკვდავი – სულიერი ამა ქვეყნისა, დგას და უკეთეს ხვალინდელ დღის მოსვლას მოეღოს.

ნუ დამიწყებელი

„მას აქეთ, რაც კი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება.“
ილია

ხმა, ხმა დავკარგე ამდენ ვედრებით, დედაო ღვთისავ, განა ღირს იყო, შენს წილხვედრზე ამდენი რისხვა... იქნებ, ოდესმე,

თუ ელირსა გამოლივიძება იმედდანაცრულს, შეება მიეცი, მოთმინება, რუსთაველის მამულს.

შემოგავედრებ, დაუამე სულის იარებს, ნუ დამინყველი, უღმერთოდ გვემულს, შენს ნაზიარებს, ვისგან არ დევნილს... ნეტავი რისთვის, რად არგუნე ასეთი ხვედრი, გაუცისკროვნე დღე ახალი, სულ ამას გვედრი!..

დღეს სადღაც ეშმას სარკასტულად მოუღებენია და უგუნურთა, ხორციელთა ვაჭრობს სულებით, მას ამის მეტი არაფერი არ დარჩენია, არც არაფერი არ ანუხებს, ახლა სრულებით...

და ასე მიდის ეს ცხოვრება, ო, რა ხანია, სულში ეშმას ჩაბუდება არახალია, სადღაც ხითხითებს ხორციელად შემოჩვეული, – ჩვენი „რჩეული“.

შენი ძარბელოვა მტკიცა

ორჰან ბერიძეს

საფლავში რომ მამას ჩასძახოდი, ქართულად რომ სიტყვა უთხარ, ძმაო, შენი ქართველობა მტკიცა, ჩემი დაკარგული ტაო.

თითქოს ახლოსა ხართ ახლა, – თითქოს დაგვიმოკლდა გზები, მაინც თქვენზე ფიქრი მტანჯავს, – ჩემი „თუქვეთი“ ძმების.

თქვენი ქართველობა მიყვარს, მაქვთ დაძახილი „ნენე“, როცა ქართველურად უქცევთ, – როცა ქართველურად მღერენ.

ახლაც სისხლი მოსდის ტაოს, კლარჯეთს არ აშრება ცრემლი, მე ხომ შენითა ვარ ასე, შენც ხომ სევდა გტანჯავს ჩემი.

განვის ხიდავი

ჩვენ ბენვის ხიდებს ვერ ვხედავთ, თორემ, ბენვის ხიდა თავად ცხოვრება, ზოგჯერ აყვებით ვნებებს და ჭორებს და ნაკვიწყდება სულის ცხოვნება. ჩამოიშლება ცის კიდები, გაიშლება მთები ზოლებად, თვით მომავალი წარსულ დღეების არის მართოდენ განმეორება.

რა უცნაური გზებით გვატარებ, ჩემო სამშობლოვ, განა ხედები შენ?

ის გზა, რომელიც არ გაგივლია, ხვალ რომ გაივლი, ისიც მაშინებს!

შენს მინას კვლავაც ეიმიღები

გიორგი ლეონიძეს

სამცხის ქედებმა მოდრიკეს მხრები, შემოდოდი, როგორც მაყარი, როგორც ბერმუხა, ისე იდექი, ვითარც მთა, ყინულგადანაყარი.

შენ აქ გიხმობდა მინის ყივილი, დარდი და ფიქრი მამაპაპათა, ისე გადახველ ვინრო ბილიკი, მზემ ალიონზე შემოგანათა.

სულ მუხლმოყრილმა შემოიარე, ლეონიძეთა მინა მესხური, ცრემლით უღბობდი ნაკვეთ იარებს, ძვალთშესალაგში ნათელშესხული.

მართლა იარე მესხისებურად, ახლაც გელიან ზარზმის ქედები, ასი წლისა ხარ და ძველებურად, შენს მინას კვლავაც ეიმიღები.



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, 30 იანვარს, მოენყო რამაზ კორშიას ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა უნივერსიტეტის 30 წლის იუბილეს.

რამაზ კორშია დაიბადა 1961 წელს, სენაკში. იგი მრავალმხრივი შემოქმედია. მეგრულ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდა, რომელიც სივრცეებსა და ზღვას იყო მიჩვეული, თავისი შემოქმედებით დაუკავშირდა მესხეთს, სადაც სრულიად განსხვავებული ენერჯია მართავს გარემოს. მესხურ-კოლხური სინთეზი განმსაზღვრელია მისი პიროვნებისთვისაც და შემოქმედებისთვისაც.

განსაკუთრებით არის გამოსაყოფი საეკლესიო თემატიკა და მათ შორის მონუმენტური ქვა-ფერები, რომლებიც გამორჩეულია ჯავახური ფერებით (მასალა ჯავახეთიდანაა, ვარგავიდან) და 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი გეომეტრიული და რელიეფური ნიშნებით.

გამორჩეულია რამაზ კორშიას საქმიანობა თსუ ახალციხის (მესხეთის) ფილიალში, სადაც 1993 წლიდან 2007 წლამდე იყო ქვის, ხის, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული დამუშავების ფაკულტეტის დეკანი.

ეს გახლავთ რამაზ კორშიას, როგორც მრავალმხრივი ხელოვანისა და შემოქმედის, მოკლე ბიოგრაფია.

გამოფენა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ: ჩვენთვის გამოფენა არ არის საიხლავი, მაგრამ ამ დღეს თავისი განსაკუთრებული მანერა აქვს იმიტომ, რომ ვინც გვყოლია და ვისი გამოფენაც ამ დარბაზში გვინახავს, ბატონ რამაზს რამდენიმე ფაქტორი მათგან მანერა გამოარჩევს. ყველაზე მთავარი ფაქტორი არის ის, რომ ჩვენთან, საუნივერსიტეტო სივრცეში, მას ნარდგენა არ სჭირდება, პირიქით, ბატონი რამაზის სახელს უკავშირდება

უნივერსიტეტის ცხოვრების, უნივერსიტეტის არსებობის გარკვეული პერიოდი. მის მიერ შექმნილი გრიგოლ ხანძთელის ძეგლი ჩვენი უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათი გახ-

ჩვენს კუთხეში და კიდევ უფრო დიდ ძალებს მოვიწვევთ ჩვენ გარედან.

საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატმა ანზორ თამარაშვილმა

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორი ციური ლაფაჩი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ბატონი რამაზის პროფესიონალიზმის შესახებ და ამის მაგალი-

მან დიდი ძალა და ენერჯია ჩადო თავის სტუდენტებში. მისი დამსახურებით ვართ დღეს ჩვენ რესტავრატორები. – აღნიშნა მან.

ბატონ რამაზს მე ვიცნობ ჩვენი სტუდენტობიდან, თბილისში გავიცანით ერთმანეთი და იქიდან იწყება ჩვენი მეგობრობა, ჩვენი ურთიერთობა, ჩვენი დამოკიდებულება. დღეს რომ გადავხედო მის ნამუშევრებს, ის ძველი, კარგი დრო გამახსენდა. ბატონი რამაზი გამორჩეული ხელოვანი და გამორჩეული შემოქმედია. რაც შეეხება მისი დეკანობის პერიოდს, უდიდესი საქმე გააკეთა მაშინ. მისი აღზრდილი ახალგაზრდები დღეს საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობენ ჩვენს მხარეში, ჩვენს ქვეყანაში და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. – თქვა მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ზაზა თამარაშვილმა.

მადლობელი ვარ, რომ ბატონი რამაზის ნამუშევრები ასე ფართოდ გამოფინეთ. წარმოვადგენ ძეგლთა დაცვის სამსახურს. სადაც კი ჩვენ ისტორიულ ძეგლს უჭირს, იქ არის ბატონი რამაზი, სადაც კი რაიმე კეთდება, იქ არიან მისი ყოფილი მოსწავლეები და კეთდება ისე, როგორც ეკადრება ჩვენს ისტორიულ ძეგლებს. – აღნიშნა მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა რევაზ ანდლულაძემ.

რამაზ კორშიამ დიდი მადლობა გადაუხადა გამოფენაზე მობრძანებულ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი ბატონი მერაბის დამსახურებაა: მართალია, ბრძოლა დასჭირდა ბატონ მერაბს, მაგრამ ასეთი ფაკულტეტი, რაც აქ იყო, სამხატვრო აკადემიასაც არ ჰქონია. მიზანი იყო ის, რომ ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შემდეგ ტაო-კლარჯეთში უნდა გაეგრძელებინათ რესტავრაციები და ამ კუთხით კეთდებოდა ეს ყველაფერი. ეს ფაკულტეტი, მართლაც, საჭიროა დღეს, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი კუთხისთვის. ალბათ, მოვა დრო და მოხერხდება, რომ მსგავსმა ფაკულტეტმა უნივერსიტეტში იარსებოს. ეს ძეგლები, რომლებიც აღსადგენია, ახალგაზრდობამ უნდა გააკეთოს და მარტო სპარტაკი, ბექა და ის წინა კურსდამთავრებულები ვერ განვდებიან. სამუშაო ბევრია და ახალი თაობები უნდა გაიზარდოს.

მარიამ ჩიტაშვილი
უნივერსიტეტის მუზეუმის სპეციალისტი

ჩვენს კოჩშია: ქვაღები, ჯოგღები, ალსაღები, ახალგაზრდობა უნდა გააქეთოს



ლავთ. წარმოუდგენელია, უნივერსიტეტი დავაფიქსიროთ ისე, რომ ეს ძეგლი არ გამოჩნდეს.

ბატონ რამაზს პირველი პერსონალური გამოფენა მიულოცა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო მიმართულებით, პროფესორმა მერაბ ბერიძემ და გაიხსენა ის დრო, რომელიც მასთან აკავშირებდა. რამაზ კორშია მუშაობს რამდენიმე მიმართულებით – ქვაზე, ხეზე, ლითონზე და სხვა. თითოეული ეს დარგი განვითარდა ჩვენს უნივერსიტეტში რამაზ კორშიას დეკანობის დროს. როგორც დეკანი, როგორც შემოქმედი, ბევრი სერიოზული შედეგი მოგვცა. როდესაც ჩვენ აქ გამოფენებს ვანწყობთ, გვინდა, დავანახოთ საზოგადოებას, რომ დიდი ძალებია ჯერ უნივერსიტეტში, შემდეგ ამ ჩვენს მხარეში, ამ



აღნიშნა, რომ ეს ძალიან კარგი გამოფენაა და ბატონი რამაზის ნამუშევრები ამჟღავნებს არა მარტო უნივერსიტეტს. ისინი ყოველთვის დიდ მონონებებს იმსახურებს საზოგადოების მხრიდან.

გამოფენის დამთავლიერებელთა შორის იმყოფებოდა

თად მოიყვანა ჭულევი: როდესაც ჭულევის ეკლესიის კარებს შეაღებ და შეხვალ, იქ რამაზი გიდგას თვალწინ იმ საეკლესიო დეტალებით, რომლებიც იქ არის წარმოდგენილი; იქ არის რამაზის სტუდენტების ნამუშევრები, იქ არის უამრავი სინამდვილე, რომელიც არის რამაზის და ჩვენი კურსდამთავრებულების ნამუშევრები.

გამოფენის ავტორს მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვის, ხის, ლითონისა და სხვა მასალათა მხატვრული დამუშავების ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რამაზ კორშიას ყოფილი სტუდენტი სპარტაკ ჯვარიძე. ბატონი რამაზი უამრავ ძეგლზე მუშაობს და დიდი შრომა აქვს ჩადებული თითოეულ ნამუშევარში.



უწყები განათლების ცენტრის მიზნები და ამოცანები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „უწყები განათლების ცენტრი“ დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სახის კურსებს სთავაზობს. კურსები მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულებით ცოდნის დაუფლებას, ასევე, კვალიფიკაციის ამაღლებას.

ცენტრი მსურველებს სთავაზობს შემდეგ პროგრამებს: უცხოურ ენებში მოსამზადებელი პროგრამები (ინგლისური, გერმანული, რუსული ენები), ქართული ენა უცხოელთათვის, კომპიუტერული პროგრამები, საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელი და ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები. ამჯერად, ვისაუბრებთ აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე, ასევე, სტუდენტების, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისათვის შეთავაზებულ ინგლისური ენის კურსებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებს 2018 წლის ოქტომ-

ბერში ჩაეყარა საფუძველი. კურსები აბიტურიენტებს საშუალებას აძლევს ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში მიიღონ ხარისხიანი ჩართული არიან ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების აბიტურიენტები. კურსებს უძღვებიან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. პერიოდულად სასწავლო პროცესის განმავლობაში მსმენელებს უტარდებათ შუალედური გამოცდები, რომლებიც ეროვნული გამოცდების ტესტებს ეფუძნება. ამ ფორმით ხდება მსმენელების პროგრესის შემოწმება.

სასწავლო გრაფიკის შედგენა ხდება მსმენელთა მოთხოვნის შესაბამისად. მეცადინეობები ტარდება კვირაში ორჯერ, 2 საათის ხანგრძლივობით. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი

ტარიფები აბიტურიენტების მიმართ არის ძალიან მიზეზური. თითოეული საგნის ღირებულება შეადგენს 25 ლარს. ამასთანავე, სორციელდება სხვადასხვა სახის სოციალური შეღავათები. კერძოდ, სოციალურად დაუცველი აბიტურიენტები გათავისუფლებული არიან გადასახადისაგან, ასევე ორი დედამიშვილისა და მრავალშვილიანი ოჯახების შემთხვევაში გადასახადი ნახევრდება. ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ასეთი სახის პაკეტი არის მხარდაჭერა და ხელშეწყობა ახალგაზრდების ოჯახებისთვის და პასუხისმგებლობა, უნივერსიტეტმა მომავალ თაობას მისცეს სრულფასოვანი და ხარისხიანი განათლება.

სექტემბრიდან „უწყები განათლების ცენტრმა“ სტუ-



დენტებს საინტერესო სახელე შესთავაზა. ინგლისური ენის გაღრმავების მიზნით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრნენ გაძლიერებული ინგლისური ენის უფასო კურსებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა, რათა აქტიურად ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტთა შერჩევა მოხდა ტესტირების შედეგად. რა თქმა

უნდა, სტუდენტები ოთხივე ფაკულტეტიდან არიან წარმოდგენილები. კურსზე ამჟამად 9 მსმენელია.

ცენტრი, უწყები განათლების ფარგლებში, უნივერსიტეტის აკადემურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სთავაზობს ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსებს, რათა დაეუფლონ და გაიუმჯობესონ ენობრივი კომპეტენცია. ეს არის ხელშეწყობა განათლების გაღრმავებისა და ენის დაუფლების მსურველთათვის. შექმნილია 4 ჯგუფი და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად არის ჩართული მეცადინეობის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ჩატარდება შემადგამებელი ტესტირება, გაიცემა შესაბამისი დონის სერტიფიკატები.

მანანა ოპოლაშვილი
სასწავლო პროცესის განყოფილების სპეციალისტი, უწყები განათლების მიმართულებით

– მირზა, შეაჯამეთ გასული წლის საქმიანობა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სრულყოფილად შეასრულა სამოქმედო გეგმა სტუდენტურმა თვითმმართველობამ თქვენი ხელმძღვანელობით?

– გასული წლის სექტემბერი აქტიურად დაიწყო. გადაწყვიტეთ, სტუდენტებისთვის შეგვეთავაზებინა სიახლე. მოვიწვიეთ მუსიკალური „ჯგუფი 1/4“ და ივენითი ჩავატარეთ. კონცერტი ახალციხის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა. თავდაპირველად ღონისძიება უფასო იყო, მაგრამ რადგან ჩვენს თანაქალაქელ ახალგაზრდა გოგონას სჭირდებოდა დახმარება, გადაწყვიტეთ, კონცერტი ფასიანი გაგვეხადა. შემოსული თანხა სრულად გადაირიცხა ამ გოგონას ანგარიშზე.

ღონისძიებებიდან გამოყოფდი სტუდენტური თვითმმართველობის მონაწილეობას ახალგაზრდულ ფორუმზე. ჩვენ წარვადგინეთ უნივერსიტეტის კუთხე ახალციხის ციხის ციტადელში. დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაზე ვესაუბრებოდით. უფრო ხანგრძლივი საუბრები გვქონდა აბიტურიენტებთან. მათ უნივერსიტეტის შესახებ მივანოდეთ არაერთი ინფორმაცია და იმ სიკეთეებზე მოვახსენეთ, რასაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს მათ.

საინტერესო გახლდათ გასული სემესტრი სტუდენტურ თვითმმართველობაში მოხალისე წევრების მიღების თვალსაზრისით. მათი ჩართულობით არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და გაიმართა. გამოყოფდი ინტელექტუალურ თამაშს – „რა, სად, როდის?“. უნდა აღინიშნოს კინოკლუბის აქტიური საქმიანობის შესახებ. კვირაში ერთი

სტუდენტური თვითმმართველობა სიახლეებსა და საოპოპოლ გეგმებს



დღე, სტუდენტები ვუყურებთ ფილმებს და ვმსჯელობთ მათ შესახებ. საინტერესო გახლდათ ახალციხის პირველი და მეორე კორპუსების სტუდენტების სტუმრობა ახალქალაქის სასწავლო კორპუსში. ჩატარდა ტრენინგი, ვუყურეთ ფილმს და ვიმსჯელებთ საინტერესო საკითხებზე. აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ჩვენ მიერ გამართულ ღონისძიებებზე საზოგადოებას, უნივერსიტეტის საინფორმაციო საშუალებებით, დროულად ვანვლიდით ინფორმაციას. ვფიქრობ, საინტერესო სემესტრი გამოვიდა და შევძელით, რომ ჩვენი იდეები განგვეხორციელებინა.

– ასევე, რომ სტუდენტურ თვითმმართველობაში მიიღეთ ახალი წევრები. საინტერესოა, მომავლისთვის რა იმეცვლილება ხომ არ იგეგმება სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურაში?

– სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის ვადა ივნისში იწურება.

გვესაუბრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი მირზა ბურძინიძე.

დებულების მიხედვით, პრეზიდენტს სტუდენტების მიერ არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი ირჩევს შიდა არჩევნების წესით. ჩვენ გვყავს ვიცე-პრეზიდენტები, არის კომიტეტები და ამ კომიტეტებში შესაბამისი რაოდენობის წევრები. როდესაც რაიმე ღონისძიება იგეგმება, რა თქმა უნდა, გუნდი ერთიანად მუშაობს. ყველა კომიტეტს მოაქვს თავისი გეგმა ამა თუ იმ ღონისძიებასთან დაკავშირებით, ვთანხმდებით ერთად. თუ რომელიმე წევრი წავა სტუდენტური თვითმმართველობის გუნდიდან, ამ შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ის სტუდენტი, რომელიც წასული წევრის მომდევნო იყო ხმების რაოდენობით არჩევის დროს.

რაც შეეხება მოხალისე სტუდენტებს, ისინი ბევრ რამეში გვეხმარებიან. მათ, დებულების თანახმად, ოფიციალურად გუნდში ვერ მივიღებთ. არიან ნიჭიერი ახალგაზრდები და ჩვენ ერთად ვგეგმავთ, ვისმენთ მათ იდეებს და ვთანამშრომლობთ საინტერესოდ. ჯერჯერობით, ჩვენს სტრუქტურაში ცვლილებები არ იგეგმება.

– რამდენიმე დღის წინ იმყოფებით სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის შეხვედრაზე. რა საკითხები განიხილეთ და რა ღონისძიებები დაიგეგმა მომავლისთვის?

– მისასალმებელია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმ-

წიფო უნივერსიტეტი არის სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წევრი. ამ ორგანიზაციასთან ერთად, ჩვენც ვიყავით ორგანიზაციის წევრი. ვიცავთ ორგანიზაციის სტუდენტური ფესტივალისა. ყოველი წლის დასაწყისში, ვიკრიბებით სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობების პრეზიდენტები და ვგეგმავთ მთელი წლის საქმიანობას. ეს ხელს გვინწყობს, ვიყოთ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და გვექონდეს აქტიური თანამშრომლობა. ღონისძიებებს, უშუალოდ, გამართვის წინ ვაანონსებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გახდა ევროპის სტუდენტური გაერთიანების ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრი. ამ ორგანიზაციაში უნივერსიტეტს წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ან ერთი დელეგატი პრეზიდენტთან ერთად. ევროპის სტუდენტური გაერთიანების ორგანიზაციასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა დაიგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები.

– სამომავლო მიზნებსა და გეგმებზე რას გვეტყვი?

– უნდა აღინიშნოს, რომ ეს წელი უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 30 წლის იუბილე აქვს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო – სპორტულ,

კულტურულ და გასართობ ღონისძიებებს შევთავაზებთ საზოგადოებას. ეს ყველაფერი განერილი გვაქვს ჩვენს სამოქმედო გეგმაში. გვინდა, რომ სტუდენტებს სამაგიდო თამაშებიც შევთავაზოთ. საგანმანათლებლო კუთხით, დაგეგმილია რამდენიმე წიგნის პრეზენტაცია და სხვადასხვა ტრენინგები. ჩვენ გავთვალისწინეთ სტუდენტთა მოთხოვნა და იქმნება მოლაშქრეთა კლუბი. კლუბს ეყოლება თავისი ხელმძღვანელი. დაიგეგმება გარკვეული მარშრუტები.

– აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, თუ გაქვთ გათვალისწინებული ღონისძიებები?

– მინდა ხმამაღლა განაცხადო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით. ტარდება არაერთი საპიარო ლექცია, უნივერსიტეტი აბიტურიენტებს უნიკალურ შანსს სთავაზობს აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების სახით. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები არაერთხელ ვყოფილვართ გასვლით ლექციებზე პროფესორებთან ერთად და ჩვენი თვალთ დახახული უნივერსიტეტი გაგვიცვინა მოსწავლეებისთვის.

– საინტერესო იქნება, ჩავატაროთ მეგობრული თამაშები ფრენბურთში, ფეხბურთში, ინტელექტუალურ თამაშებში. ამით ჩვენ კიდევ უფრო ახლოს ვავაძნობთ მათ უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურას, მატერიალურ ტექნიკურ ბაზას.

– მაღლობა, მირზა საინტერესო საუბრისთვის. წარმატება – მთელ თქვენ გუნდს.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

გლიც-ინტარვიუს შიკითხვებს პასუხი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა გასცეს. ვერონიკა გვარამაძე და ფრიდონ შამშიდოვი-ჭურაძე საპარტოლის საცილოლოვის პირველ კურსზე სწავლობენ და ჩვენი გაზეთის მკითხველს სტუდენტურ ცხოვრებას და პირად აზრებს უზიარებენ.

- სკოლა იყო...
- ფრიდონი: დასაწყისი.
- უნივერსიტეტი არის...
- ფრიდონი: უნივერსიტეტს შევადარებდი კომპასს, რადგან ვხამკვლევია ჩემთვის. შემოდლია, გავიკვლიო ჩემი მომავალი გზა.
- ვერონიკა: იმ შანსების გაგრძელება, რაც სკოლაში დაიწყო. ასევე, ოცნებების ახდენის საშუალება.
- პირველი ლექცია...
- ფრიდონი: უცხო და ახალი იყო. ემოციებით სავსე.
- ვერონიკა: შევადარებდი ილნას „მგზავრის წერილებს“, რადგან მოულოდნელობით სავსე იყო. აღმოვჩინე გარემოში, სადაც მხოლოდ ორ ადამიანს ვიცნობდი.
- ლექტორი უნდა იყოს...
- ფრიდონი: სამართლიანი.
- ვერონიკა: ობიექტური.
- ლექციების შემდეგ...
- ფრიდონი: ვმუშაობ. სწავლისა და მუშაობის შეთავსება საინტერესოა, რადგან ყოველდღიურობას მრავალფეროვანს ხდის. სხვაგვარად მომწყინდებოდა სახლში ჯდომა უნივერსიტეტის შემდეგ.
- ვერონიკა: მეც ვმუშაობ. კარგად ვუთავსებ მომავალ პროფესიას ჟურნალისტიკობას.
- გამოცდები...
- ფრიდონი: პირველი იყო

ჩვენთვის, არ ვიცოდით, რა უნდა გავეკეთებინა. მიუხედავად ამისა, კარგად ჩაიარა. ვერონიკა: ვნერვიულობდი, მაგრამ კარგი ქულები ავიღე. რა თქმა უნდა, მეტი შემეძლო.

გლიც-ინტარვიუს შიკითხვებს სტუდენტები პასუხობენ

- უნივერსიტეტი მომწონს...
- ფრიდონი: ინტერესი; იგრძნობა საუნივერსიტეტო გარემო.
- ვერონიკა: ყველაფერი მომწონს. კარგი იქნებოდა, მე-4 სართულზე, სადაც იურიდიული ფაკულტეტი იწყება, გაკეთდეს მიმანიშნებელი აბრა და დაეწეროს - ამ ადგილიდან იწყება იურიდიული ფაკულტეტი.
- ყველაზე საინტერესო საგანი...
- ფრიდონი, ვერონიკა: ფილოსოფია.
- მანუხებს...
- ფრიდონი: როდესაც საპირისპიროს მიმტკიცებენ.
- ვერონიკა: ტყუილი.
- ვუსმენ...
- ფრიდონი: კლასიკას.
- ვერონიკა: განწყობის მიხედვით, ყველა უნარს.
- ვკითხულობ...

- ფრიდონი: ბოლოს დოსტოევისკი წავიკითხე. ახლა, ძირითადად, სალექციო მასალებს ვკითხულობ და ვსწავლობ.
- ვერონიკა: რა დამთხვევაა, ბოლოს მეც დოსტოევისკის „იდიოტი“ წავიკითხე.
- 4 წლის შემდეგ...
- ფრიდონი: მიზანთან ბევრად ახლოს ვიქნები.
- ვერონიკა: მე უკვე წარმომიდგენია, როგორ ვმუშაობ პროფესიით.

- ვერონიკა: ბავშვობიდან მიყვარდა ეს სფერო, რადგან ძალიან ცხოვრებისეულია.
- ვიქნებოდი...
- ფრიდონი: ადვოკატი.
- ვერონიკა: მოსამართლე.
- საკუთარ თავში მომწონს...
- ფრიდონი: თავდაჯერებულობა.
- ვერონიკა: კრიტიკა, თვითკრიტიკა.
- ნიჭი, რომელიც მინდა მქონდეს...

- მჯერა...
- ფრიდონი: ყველაფერი უკეთესად იქნება.
- ვერონიკა: ჩემი თავის მჯერა.
- ხასიათი...
- ფრიდონი: სხვისთვის რთულად გასაგებია.
- ვერონიკა: რთული ხასიათის ვარ, მაგრამ გააჩნია, ვისთან. თუმცა, არ მიყვარს სიამაყე.
- ვაფასებ...
- ფრიდონი: ადამიანობას და სიმართლეს.
- ვერონიკა: ერთგულებას, სიყვარულს და ფაქტობრივად.
- აბიტურიენტებს ვურჩევდი...
- ფრიდონი: დაუკვირდნენ საკუთარ სურვილებს და ისე შეარჩიონ პროფესია. თავიანთ მომავალს ირჩევენ და არა - დედის ან მამის, ამიტომ დაფიქრდნენ, რა უნდათ. მე ყოველთვის ადვოკატობა მინდოდა, შემდეგ, რაღაც პერიოდით, გადავიფიქრე. პირველად გილზე სხვა მიმართულება მენერა, მაგრამ ბოლო დღეს შევცვალე და საგნების ჩამონათვალში პირველი ისევ სამართალი დავნერე.
- ვერონიკა: ჩააბარონ ჩვენს უნივერსიტეტში, ის არაფრით ჩამოუვარდება სხვა სასწავლებლებს.
- მე რომ რექტორი ვიყო...
- ვერონიკა: რექტორი რომ ვიყო, ვერ ვიქნებოდი ისეთივე საუკეთესო, როგორც მაკა ბერიძეა. ვფიქრობ, პირველ რიგში, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს გავაკეთებდი.
- ფრიდონი: საგნები ვეთანხმები ვერონიკას.



- პროფესია ავირჩიე, რადგან...
- ფრიდონი: ყოველთვის ვიყავი სამართლიანი და არ იყო საჭირო ჩემთვის მიეთითებინათ, რომ ვინმე არ უნდა დამეჩნა. ბუნებრივად ვიქცეოდი სამართლიანად.

- ფრიდონი: სიმღერის.
- ვერონიკა: მსახიობობის.
- ვნანობ...
- ფრიდონი: ვცდილობ, არ ვინანო, რასაც ვაკეთებ.
- ვერონიკა: ხანდახან ვეჩხუბები ჩემს დას და მერე ვნანობ.



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციაა და როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსაცვლე, საქართველოში 2019 წლის 10 მაისიდან ამოქმედდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის დღე აღნიშნა 28 იანვარს და საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან შერჩეულ 20 სტუდენტს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩის“ საპატიო სტატუსი მიანიჭა. მათ შორის გახლდით მე და ჩვენი ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი - დონარი ლონდარიძე. მინდა, ვისაუბრო აღნიშნულ პროექტსა და იმ გზაზე, რომელიც ამ წარმატებამდე განვლეს სტუდენტებმა.

პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე საზოგადოების ცნობიერება საკმაოდ დაბალია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა განსაკუთრებით საჭიროა რეგიონებში. სწორედ ამ მიზნით - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების“ შესარჩევი კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი კრიტერიუმები: უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასწავლებლის მოქმედი სტუდენტი, მოტივირებული, პრეზენტაბელი, აქტიური, ორგანიზებული, ეფექტიანი კომუნიკაციის უნარის მქონე და ჰქონოდა მაღალი აკადემიური მოსწრება. შემოთხსენებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ კი მათ უნდა გაეწეოთ შერჩევის პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავდა: რეზიუმეს, რეკომენდაციის, წერილობითი ფორმით საკუთარი ხედვის დაფიქსირების - ადგილზე აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით და პროგრამაში მონაწილეობის მოტივაციის დასაბუთების (აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის ფორმით), გაგზავნას. ამ ყოველივეს მიღებისა და გადარჩევის შემდეგ კი მეორე ეტაპზე მოხვედრილ სტუდენტს უნდა გაეწეოთ გასაუბრება. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 120 სტუ-

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩები“

დენტმა, მათგან ყველა ეტაპის წარმატებით გავლა კი მხოლოდ 20 სტუდენტმა მოახერხა, რომლებიც ჯერ სპეციალურ სასწავლო კურსს გადიან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ზამთრის სკოლაში, შემდეგ კი თბილისსა და რეგიონებში ცნობიერების ამაღლების კამპანიაში ჩაერთვებიან.

პროექტის - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩის“ დიდი მნიშვნელობა გამოიხატება იმაშიც, რომ ელჩებს აძლევს საშუალებას, სხვადასხვა ტრენინგების გავლის შემდეგ, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, ჯერ თავად მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მათთვის, პირველ რიგში, როგორც მოქალაქეთათვის და შემდგომ მათივე პროფესიული ზრდისთვის, გარდა ამისა, აძლევს მათ საშუალებას, საკუთარი წვლილი შეიტანონ პერსონალური მონაცემების, ადამიანის უფლებებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, რამეთუ ჩვენ თუ არ გვეცოდინება, თუ რა არის ჩვენი უფლება, როგორ უნდა დავიცვათ ის და რა სამართლებრივი ბერკეტები არსებობს მის აღსადგენად; თავიდან ვერ ავიცილებთ კანონით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფას.

ლონისძიება სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ გახსნა. იგი მოწვეულ სტუმრებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის დღისა და საქართველოს ამ მიმართულებით გაძლიერების მნიშვნელობაზე, არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პრიორიტეტებზე ესაუბრა. ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიული საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ანრი ოხანაშვილი, ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში (TBC) - ჰელენ სანდ ანდერსენი, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი (UNDP) საქართველოში - ლუიზა ვინტონი, სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის (OHCHR) უფროსი მრჩეველი, ადამიანის უფლებათა საკითხებში - ვლადიმირ შკოლნიკოვი, საქართველოს ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსი - ვინსენტ რეი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელი საქართველოში - პიტერ უიბლერი, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე - ვაჰაგ მურადიანი, სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველო-



ბის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - სოფიო ჭარელი, რომელმაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე, გამოწვევებზე, პრიორიტეტებზე და გეგმებზე ისაუბრა.

მომხსენებელთა გამოსვლის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილემ - სოფიო ვაიძემ წარადგინა პროექტი - „პერსონალური მონაცემების დაცვის ელჩი“, რომელზეც ჩვენ უკვე დანერგვით ვისაუბრეთ, რასაც მოჰყვა ელჩებისა და ორგანიზაციების დაჯილდოება. ლონისძიება დასრულდა ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენით, კერძოდ, უკრაინის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისიის - ლუდმილა დენისოვასა და საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის - ლონდა თოლორაიას მიერ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით.

„პერსონალური მონაცემების დაცვის ელჩებს“ გადაეცათ: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩის საპატიო სიგელი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამკერდე ნიშანი და სახელმძღვანელოები. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ კი (დასრულდება 2021 წლის 28 იანვარს) მათ გადაეცემა შესაბამისი რეკომენდაცია.



მარიამ სულაძე
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

როდესაც პირველად აიღო მიკროფონი ხელში და შეაღო კარი უნივერსიტეტის პროფესიაში – ჟურნალისტიკაში, შიში, დაბნეულობა, საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლა – ყველა გრძობა ერთად დაეუფლა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საუნივერსიტეტო გადაცემის – „სტუდენტური ქრონიკების“ მომზადებლად მოსული ჟღალთმანი გოგონა შირადა დავიანახავს. უნივერსიტეტიდან დაწყებული საქმე პროფესიამდე ექცა. ის ამჟამად მედიის პოლიტიკის „კვირას“ რეგიონული კორესპონდენტია. მეგობრები სახელის ნაცვლად „ჟურნალისტიკა“ ეძახიან. ეს ჟურნალისტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო მმართველობის მეორე კურსის სტუდენტი მედეა ლომიძეა.

მედეა ფიქრობდა, ეკონომიკის სპეციალობაზე ჩაებარებინა, რადგან ეს მიმართულება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფასო იყო, სურვილი კი საჯარო მმართველობის პროფესიის დაუფლებას უკავშირდებოდა. ამბობს, რომ გაუმართლა, რადგან იმ წელს, როდესაც მედეა აბიტურიენტი იყო, საჯარო მმართველობის სპეციალობა უფასო გახდა.

მომავალი საჯარო მოხელე თუ აქტიური ჟურნალისტი? მის წინაშე დასმული დილემა ჟურნალისტიკაში მოღვაწეობისკენ იხრება.

მედეა სკოლიდანვე იყო ჩართული კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებში. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის პრეზიდენტი იყო. ამ პერიოდისაა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობდა. უნივერსიტეტის იმდროინდელი სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ლევან აფციაურისა და მედეას ინიციატივით, არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და ჩატარდა.

მას შემდეგ, რაც სტუდენტი გახდა, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ჩაერთო. იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში, სამეცნიერო კონფერენციებში. პარალელურად, სახლში, ინგ-

ლისურ ენაში მოსწავლეებს ამზადებდა და საკუთარი შემოსავალიც ჰქონდა. პირველი კურსის მეორე სემესტრიდან სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი გახდა.

პირველ კურსზე ყოფნის დროს, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან შესთავაზეს საუნივერსიტეტო გადაცემის – „სტუდენტური ქრონიკების“ მომზადებაში ჩართულობა, რომელიც ახალციხის ტელეკომპანია „მე-9 არხში“ მზადდებოდა. ეგონა, მხოლოდ ორ გადაცემაზე იმუშავებდა და მისი ტელევიზიის თანამშრომლობა ასე დამთავრდებოდა. ახალგაზრდა, მოტივირებული გოგონას, სიახლის გაცნობის, რაიმეს შესწავლის სურ-

ვეტებს, წერდა სთენდებს, თავადვე ამონტაჟებდა მის მიერ მოპოვებულ მასალებს. დადიოდა სოფლებში, რათა გაეგო უბრალო ადამიანების პრობლემები. ყველაზე მეტი სიუჟეტი კულტურის მიმართულებით მოამზადა. როდესაც მივიღოდი სოფლებში, ხშირად არ ვიცოდი, რა თემაზე ვიმუშავებდი. ზოგჯერ ისეთი პრობლემა გამიშუქებია, რომ რეაგირებაც მოჰყოლია შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან. დღემდე ვამაყობ იმ პერიოდით.

ისხენებს ტელეკომპანიაში მუშაობის დროს შექმნილ ყველაზე რეიტინგულ სიუჟეტს, რომელიც ახალციხეში, თუნუქის ღუმელების დამამზადებელს, ამ სფეროში შემორჩენილ ერთადერთ ადამიანს ეხე-

კებს“ ამზადებდა. აშუქებდა უნივერსიტეტში მიდინარე მოვლენებს. თავად იყო ჟურნალისტი, მონტაჟისტიც და გადაცემის საბოლოო სახის მიმ-



მედეა ლომიძე - საჯარო მოხელე თუ ჟურნალისტი?

ვილი ყოველთვის ჰქონდა. ამიტომ, ტელევიზიის ხელმძღვანელობის მხრიდან შეთავაზებას, გამხდარიყო მათი გუნდის წევრი, დათანხმდა. ასე დაიწყო სასურველ სპეციალობაზე მოხვედრილი გოგონას ჟურნალისტიკასთან ზიარება. ერთი წლის განმავლობაში მედეა ახალციხის ტელეკომპანია „მე-9“ არხის თანამშრომელი იყო.

ამასთან, ამზადებდა საუნივერსიტეტო გადაცემას – „სტუდენტური ქრონიკები“, ქმნიდა მულტიმედიურ მასალებს, სიუ-

ბოდა. ფიქრობ, ამ ადამიანის უბრალოებამ, უშუალოდამ, მარტივი ფრაზებით გადმოცემულმა მოსაზრებებმა, რომელიც რეალობას გამოხატავდა, მაყურებელში დიდი მონონება დაიმსახურა. რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს თუ რა კითხვებს დასვამ ჟურნალისტი, რა მიმართულებით ნაიყვან ინტერვიუს. ამ ყველაფრის სინთეზმა ფუნქციონირებს „სტუდენტური ქრონიკები“, ქმნიდა მულტიმედიურ მასალებს, სიუ-

კვირაში ერთხელ, პარალელურად, „სტუდენტურ ქრონი-

ციმეც. იმისთვის, რომ სამსახურის პარალელურად უნივერსიტეტში წარმატებული სტუდენტი ყოფილიყო, ნიგნებთან ერთად ბევრი გათენებული ღამე ახსოვს.

არ მოსწონს ქართულ ჟურნალისტიკაში არსებული მდგომარეობა. ამბობს, რომ მედიპროდუქცია ხშირ შემთხვევაში არ არის შესაბამისი ღირებულებების მატარებელი. უნდა, რომ ჟურნალისტიკაში რაღაც „მისეული“ შეიტანოს, წარმოაჩინოს საინტერესო ადამიანები და მათ შესახებ საზოგადოებას მოუთხროს. ამიტომ, მედიპროდუქცია „კვირას“ რეგიონულ კორესპონდენტობას დათანხმდა. მედეა რეგიონის მნიშვნელოვან ამბებს აღნიშნული ინტერნეტ-პორტალის დახმარებით, მთელ ქვეყანას აცნობს. მოსწონს, რომ გამოცდილ და ცნობილ ჟურნალისტებთან უნევეს თანამშრომლობა. ამიტომ, მათი რჩევები, მითითებები, მისთვის მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ის საქმეა, რომელიც მომწონს და უნდა გავაგრძელო, ამბობს მედეა. ამასობა, რომ მისი ბევრი სიუჟეტი ექსკლუზივია.

ამბები, რომელიც მედეამ საზოგადოებას შესთავაზა, სა-

ინტერესო და რეიტინგული აღმოჩნდა. მთელმა საქართველომ შეიტყო ადამიანზე, რომელიც ხულოს სამუდამოდ დაემშვიდობა და იცოდა, ველარ დაბრუნდებოდა იქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა. საინტერესოა სიუჟეტი მესხი ძმების სურვილზე, რომლებსაც უნდათ დიდი ოდა სახლი ეთნოგრაფიულ მუზეუმად აქციონ. მედეამ საზოგადოებას გააცნო მესხი ძიუღისტი ქალბატონი. ახალგაზრდა ჟურნალისტი საზოგადოებას ქართველი მაკგრეგორიც გააცნო. მოამზადა სიუჟეტები ცხოვრების ჯანსაღ წესზე. აღარაფერს ვამბობთ მეხს მეღვინეზე, ქარავით დაინტერესებულ თვითნასწავლ ქალბატონზე, მესხური ტრადიციული კერძების ისტორიაზე შექმნილ სიუჟეტებზე. როგორც თავად ამბობს, ხან „არაამქვეყნიური“ სიცივის ფონზე, მეღვინეებთან ერთად, ნინონინდის მალალ მთებში უნევეს სიარული, ხან სამცხე-ჯავახეთის დაბლობებში ეძებს საინტერესო ამბებს და ადამიანებს.

უხარია, რომ ზურგს პროფესიონალი ოპერატორი უმაგრებს. თორნიკე ზაზაძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. თორნიკე ჟურნალისტი. მას აქვს სხვადასხვა გამოცემებსა და ტელევიზიაში მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკა. ფიქრობ, ერთად, ერთმანეთის დახმარებით კარგ საქმეს ვაკეთებთ.

მედეას საშუალებით, მედიპროდუქცია „კვირას“ პორტალზე, სამცხე-ჯავახეთის ამბები საქართველოს სხვა კუთხეების ამბებს უერთდება. ასე იქმნება ჟურნალისტიკა მიერ ყოველდღიურობის ისტორია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, მედეას ლომიძეს, დიდი წვლილი შეაქვს.

მედეას სამომავლო გეგმები ჟურნალისტიკას უკავშირდება. სურს, მაგისტრატურა ამ მიმართულებით გააგრძელოს და უნივერსიტეტში შესწავლილი კანონები, სამართლიანობის დასაცავად, ამ სფეროში გამოიყენოს.

წარმატებებს ვუსურვებ ჩემს კოლეგას არჩეულ საქმიანობაში.



მარიამ ჩინჩალაძე ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საყუნეთიდანაა. დაამთავრა ამავე სოფლის საჯარო სკოლა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის მესამე კურსის სტუდენტია. მარიამი თავისუფალ დროს საინტერესოდ იყენებს. კითხულობს ბევრს და ამბობს, რომ ეს ხელს უწყობს ცხოვრებისეული მიზნების განხორციელებასა და სირთულეების გადალახვას. განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის კითხვისას სხვაგვარად გრძობს გადმოცემულ ამბავს და თითქოს კონტაქტშია მთავარ გმირებთან. ეს კი ზრდის მის ცოდნასა და განათლებას. ის, რომ მარიამი გამორჩეული სტუდენტია, დეკემბერში სტუდენტთა შემოქმედებითმა კონკურსმაც აჩვენა. მან ლექსების კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. ლექსების გარდა, კონკურსზე ხელნაკეთი ნამუშევრებიც წარადგინა.

მარიამი თავისი ინდივიდუალობით გამორჩეულია. ამბობს, რომ ლექსების წერისადმი სიყვარულმა განაპირობა მისი პროფესიის არჩევა. მარიამს ლექსების წერა პატარა ასაკიდან დაუწყია. თავიდან სახუმარო, მცირეფორმატიან ლექსებს წერდა და მეგობრებს უძღვნი-

ნათელი ფეხებით ~ მოგაპრისკენ

და. მერე თანდათან დაიხვეწა. არ უყვარდა ლექსების საჯაროდ წარდგენა. ბევრი ლექსი ისეთია, რომელიც არავის არ აქვს წაკითხული. – ამბობს მარიამი.

სკოლაში არაერთხელ შესთავაზეს, გაემართა პოეზიის საღამო. გადანყვიტა მონაწილეობა მიეღო სკოლის მიერ ორგანიზებულ საღამოზე. ეს იყო მისი ლექსების პირველი ზიარება პედაგოგებთან და კლასელებთან. შემდეგ ქალაქ ახალციხეში გამართულ პოეზიის საღამოზე მიიწვიეს. რაც შეეხება უნივერსიტეტს, მისი ლექსები ლექტორების, თანაკურსელებისა და სხვა სტუდენტების წინაშე, ზემოაღნიშნულ კონკურსზე წარადგინა. როდესაც სკოლის მოსწავლე ვიყავი, მაშინ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე იყო. ბატონი მერაბი ჩვენს სკოლას ესტუმრა და უნივერსიტეტის შესახებ გვესაუბრა. გადაწყვიტე, ამ უნივერსიტეტში ჩამებარებინა და სპეციალობად ფილოლოგია ამერჩია. თანაკურსელებმა არ იცოდნენ თუ ვწერდი ლექსებს... მაინც გაიგეს. მიხარია, რომ ჩემი ლექსები უნივერსიტეტის შე-

მოქმედებით კონკურსზე ბატონმა მერაბმა და ბატონმა ვახტანგ ინაურმა განიხილეს და შეაფასეს. – გვეუბნება მარიამი.

კონკურსზე ასოცირებულმა პროფესორმა ვახტანგ ინაურმა აღნიშნა, რომ მარიამის ლექსებში ავტორის ლიტერატურის სიყვარული ნათლად ჩანდა. მარიამის ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. წერს სიყვარულზე, მეგობრობაზე, ადამიანებზე, საკუთარ გრძობებზე, თავისუფლებაზე, ცხოვრებაზე, სხვადასხვა პრობლემატიკაზე. წერს ადამიანის უარყოფით თვისებებზე, თუმცა ამ ლექსებს არავის აცნობს, რადგან საკუთარი თავი არ შეიცნონ.

საინტერესოა მარიამის შემოქმედების მეორე მხარე – ხელნაკეთი ნივთები და სამკაულები. მისი ნამუშევრები ინდივიდუალობით გამოირჩევა. აკეთებს ხელჩანთებს, სუვენირებს, ნაძვის ხის მოსართავეებს, სამკაულებს.

მარიამი ხატავს ბავშვობიდან. ამ მიმართულებით, თვითნასწავლი შემოქმედია. ამბობს, რომ უყვარს ნატურმორტების ხატვა. მის ნახატებში ყვი-



თელი დომინირებს. ყვითელი მისთვის ბედნიერების ფერია, მზესთან, ყვავილებთან, ვარსკვლავებთან ასოცირდება. უყვარს სინათლე, ნათელი ფერები. რაც შეეხება მის სამომავლო გეგმას, ხელნაკეთი ნივთების მაღაზიის გახსნას უკავშირდება. წარმატებას ვუსურვებთ მარიამს.

გვერდი მოამზადა ლიპა ზაზაშვილმა



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელი, თვითნასწავლი შემოქმედის, ნანა ინასარიძის ნაქარგების პირველი პერსონალური გამოფენით გაიხსნა უნივერსიტეტის მუზეუმში, 17 იანვარს. სხვადასხვა თემატიკისა და ჰარმონიულად შერწყმული „ნანასული“ ფერებით მოქარგულმა ნამუშევრებმა დამსწრე საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა. გამოფენას ესწრებოდნენ როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ასევე, სამხარეო ადმინისტრაციისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ახალციხის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, შემოქმედის ოჯახის წევრები და მეგობრები. დამთვალეობა მუზეუმში დახვდა გამოფენის ორგანიზატორების მიერ მომზადებული საინფორმაციო ცნობარი ნანა ინასარიძის შემოქმედების შესახებ.

ნანა ინასარიძის ნაქარგებში აშკარად ევროპული სიუჟეტები სჭარბობს. აქა-იქ გერმანული ფერები გაჰყვარეს და სხვაგვარი სილამაზით აღიქმება სამხრეთულ ფერებს მიჩვეული ადამიანის ესთეტიკაში. – აღნიშნავს ცნობარში რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე. მართლაც, ნანა ინასარიძის შემოქმედებაში, ოჯახთან ერთად, გერმანიამ გატარებული ნაწილები ნაქარგებში კვალს დატოვა. ათი წელია, რაც ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს ქმნის. ნანას სული, ქალური კდემამოსილება, ცხოვრებისადმი სიყვარული, ფერთა საოცარი გამა იგრძნობაო შემოქმედის ნაქარგებში. – აღნიშნეს გამოფენაზე. საქარგავი ძაფებით, ლენტებით, თექითა თუ ბისერებით შესრულებული ნამუშევრები, უნივერსიტეტის მუზეუმის საგამოფენო სივრცეს ორი კვირის განმავლობაში დამშვენებს.

გამოფენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებული პროფესორმა მაკა ბერიძემ გახსნა. საზოგადოებას მოახსენა, რომ ნანა ინასარიძის ნაქარგების გამოფენა არის პირველი ღონისძიება,

რომელიც 2020 წელს იმართება. ამასთან, 2020 წელი უნივერსიტეტის საიუბილეო წელია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 30 წლის იუბილე აქვს. გილოცავთ სამცხე-ჯავახეთში 30 წლიანი უმაღლესი საგანმანათლებლო კერის არსებობას. ყველას თანამონაწილეობით, უნივერსი-



ნანა ინასარიძის ნაქარგებზე ისაუბრა გამოფენის ორგანიზატორმა, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ ნანა ინასარიძის გამოფენა რიგით მეექვსეა უნივერსიტეტის მუზეუმის სივრცეში. დამსწრე საზოგადოებას ქალბატონი ნანას ბიოგრაფია გააცნო. აღნიშნა, რომ თვითნასწავლი ხელოვანი ყაზახეთში დაიბადა. შემდეგ, ოჯახი საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ქალბატონი ნანა მესხეთის ფილიალის კურსდამთავრებულია. ვფიქრობ, რომ ქარგვის ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს. ბავშვობის დროს მიყვარდა სიუჟეტები, რომლებიც იყო ამოქარგული და მოთავსებული, მაგალითად, ბავშვის აკვანზე. სხვა სილამაზე იყო. ამ ყველაფერმა ჩარჩოში გადაინაცვლა და მოექცა ხელოვნე-

შევრები ჭეშმარიტი ხელოვნებაა, ეს არის სულიერი საზრდო ადამიანის და ყოველთვის დასაფასებელია. ქალბატონი ნანა დიდ საქმეს აკეთებს მომავალი თაობებისთვის. ნაქარგებს რომ გადავხედო, თითოეულ ნამუშევარში თავისი შინაარსია ჩადებული და არცერთი არ ჰგავს ერთმანეთს. სწორედ ამითი ფასობს ნანა ინასარიძის შემოქმედება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ირმა მერაბიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და უნივერსიტეტში მუზეუმის არსებობის მნიშვნელობაზე გამაზვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ მუზეუმმა დაარსებიდან დღემდე, მცირე მონაკვეთში, არაერთი საინტერესო გამოფენა შესთავაზა საზოგადოებას: ერთ-ერთ-

ვახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თემურ მალრადემ: **წლებადედილი საიუბილეო წელი არაჩვეულებრივი გამოფენით გაიხსნა. აღნიშნა, რომ ქალბატონი ნანა თვითნასწავლი შემოქმედია, თუმცა, მისი ნამუშევრები პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული. ფერები არაჩვეულებრივად არის შერწყმული ყოველ ნამუშევარში. ვუსურვოთ ქალბატონ ნანას წარმატება.**

უნივერსიტეტის მოწვეულმა პედაგოგმა ნათელა ბერიძე-ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ნანა ინასარიძეს, ყაზახეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, ასწავლიდა ქართულ ენას. ნანა დინჯი, აუღელვებელი იყო. სხვანაირად არ შეიძლებოდა. სული, რომელიც ამ ბავშვში დაეინახე, უნდა ამოხეთქლიყო ამ ნამუშევრებში. მისხარია, რომ კიდევ შევხვდით ერთმანეთს და კიდევ ერთხელ გავიცანით ერთმანეთი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის სპეციალისტმა მარიამ ნინორიაშვილმა ნანა ინასარიძეს მიულოცა პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობა: ეს ქალბატონი ნანას პირველი გამოფენაა და ვისურვებდი, ყოფილიყო დასაწყისი იმ წარმატების, რომელიც მომავალში ელოდება. მის ნამუშევრებში დიდი სიყვარული, მოთმინება და სინაზა ჩაქსოვილია. რომ არა ეს ყველაფერი, ეს ნამუშევრები ასეთი საინტერესო არ იქნებოდა.

ნამუშევრების ავტორმა მადლობა მოახსენა ყველას გამოჩენილი ყურადღებისთვის და აღნიშნა, რომ ქარგვის გარეშე ვერ წარმოუდგენია ცხოვრება: ათი წელია ვქარგავ. იყო პერიოდები, როდესაც გაჩერებული ვიყავი. ზოგ ნაქარგს ერთ კვირაში ვასრულებ. შეიძლება რომელიმე ნაქარგზე რამდენიმე თვეც ვიმუშაო. მაქვს დიდი გეგმები. მინდა მადლიერება გამოვხატო გამოფენის შესახებ დაბეჭდილ ცნობარზე. დიდი მადლობა ასეთი წარდგენისთვის.

ღონისძიების დასასრულს პროფესორმა მერაბ ბერიძემ დაანონსა, რომ ნანა ინასარიძის ჩართულობით, უნივერსიტეტში, დაინტერესებული პირებისთვის, ჩატარდება ქარგვის მასტერკლასი. უნდა გაცნობოთ, რომ ეს დაწესებულება 24 იანვარს შესრულდა.

ლიკა ზაზაშვილი

ქსოვიღვე აქოქაჯბუღი სოქსეღი

ტეტს ვუსურვებ, ყოფილიყო ზუსტად იმ მისიის აღმსრულებელი, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად მას დავაკისრეთ. იმიდების განმასხვრციელებელი, რომელიც საქართველოს გაძლიერებას, საგანმანათლებლო სივრცის, თითოეული სტუდენტის გაძლიერებას ემსახურება. მთავარი მაინც გახლავთ დღევანდელი გამოფენა. ჩემთვის ეს არის ხელოვნება, მხატვრული ქარგვა. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და დასძინა, რომ ქალბატონი ნანას ერგო პატივი, მისი გამოფენით გახსნილიყო უნივერსიტეტის საიუბილეო წელი. – ჩემთვის მნიშვნელოვანია ქალბატონი ნანას შემოქმედება. ამ ნაქარგებიდან კარგად ჩანს, რა სულის ადამინიც იმზირება. ჩემთვის თითოეული ნამუშევარი ქალბატონი ნანას თითო სათქმელია მხანხვლისადმი. ამ სათქმელიდან სილამაზის სიყვარული, სიცოცხლის სიყვარული, უფლის სიყვარული, ქალური კდემამოსილება იმზირება და ამ შემთხვევაში ჩვენი ღირებულებები თანხვედრაშია.



ბის დარგებს შორის. დღეს სხვა ესთეტიკის არის ნაქარგები, სხვაგვარი დატვირთვა აქვს და ეს ყველაფერი შეგვახსენა ქალბატონი ნანას დღევანდელმა გამოფენამ.

გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრა ახალციხის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ზაზა თამარაშვილმა: **მადლობა უნივერსიტეტს იმისთვის, რომ გვანებიერებს ასეთი საინტერესო გამოფენებით. წლებადედილი წელი გამორჩეულია, საიუბილეო წელია და ყველამ ერთად უნდა აღვნიშნოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი. რაც შეეხება ქალბატონი ნანას გამოფენას, მოხიბლული ვარ ამ ნაქარგობებით. არ ვიცნობდი მის შემოქმედებას. მინდა წარმატებები ვუსურვო და კიდევ ბევრი გამოფენის მოწყობა.**

ნანა ინასარიძის ნამუშევრებზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატმა ანზორ თამარაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ქალბატონი ნანა თვითნასწავლი ბრძანდება და მისი ნამუ-

თი ასეთი ღონისძიება ღამაზი ნაქარგების გამოფენაა. ქალბატონი ნანას შემოქმედება საინტერესო და მნიშვნელოვანია. აქ აღნიშნა, რომ ნანა ინასარიძის ნაქარგებში გერმანული ფერები სჭარბობს, თუმცა, მე ვფიქრობ, მის ნამუშევრებში სული ქართულია. მინდა წარმატებები ვუსურვო ახალგაზრდა შემოქმედს.

ნანა ინასარიძემ წარმოადგინა ულამაზესი ნაქარგები. დიდი სულია ჩადებული ამ ნამუშევრებში. ქალბატონი ნანას ვიცნობ და როგორი განონასწორებული, როგორი კარგი ადამინაიც არის, ეს სული მის ნამუშევრებში კარგად ჩანს. მინდა წარმატებები ვუსურვო მას. – აღნიშნა მხატვარმა თამარ თამარაშვილმა.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნაქარგები შეაფასა სამცხე-ჯა-



რედაქტორი მარიამ ჯიღელაშვილი	მისამართი ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
სარედაქციო კოლეგია: ლიკა ზაზაშვილი, მარიამ სუღაძე, ანა არუთუნიანი	ტელ.: (+995) 22 890 400 191 ტელ.: 599 25 25 68 ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge